

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შოთა ვადაჭკორია

საქართველო-თურქეთის  
ურთიერთობა 1917-1918 წლებში

მეომრის ბიბლიოთეკა №22

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ ოცდამეორე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **გიორგი საითიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო გიგანი**  
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**  
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის ფონზე, რუსეთში განხორციელებულმა ბოლშევიკურმა სახელმწიფო გადატრიალებამ (1917 წლის ოქტომბერი) ამიერკავკასიის ერების პოლიტიკური მდგომარეობა ძირეულად შეცვალა. რაც შეეხება ამიერკავკასიის ტერიტორიებს, ოსმალეთის მხრიდან რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ფრონტიდან ჯარის დემობილიზაციის შედეგად თურქეთ-ამიერკავკასიის ფრონტის ხაზის გაშიშვლების ფაქტი. შექმნილი სიტუაცია ამიერკავკასიის ერებს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა. იმ ეტაპზე ეროვნული საჯარისო შენაერთების არყოლის გამო, ამიერკავკასიის ფრონტის ხაზზე შექმნილი ვაკუუმის ამოვსება შეუძლებელი გახდა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ოსმალეთს ამიერკავკასიაში სასურველი ტერიტორიების დაკავების შესაძლებლობა ეძლეოდა. ასეთ რთულ პოლიტიკურ პირობებში მყოფი ქვეყნის გადარჩენის გზების ძიება პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა.

თუ როგორ აფასებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ქართული პოლიტიკური სპექტრი და საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, რამდენად პრაგმატულ ხასიათს ატარებდა მათ მიერ შემუშავებული წინადადებები, ამის გასარკვევად წინა პლანზე შემდეგი სამი საკითხი უნდა წამოიწიოს: 1) რამდენად უწევდა ანგარიშს ოსმალეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში გერმანიის ხელისუფლება; 2) რა სტრატეგიული მიზნები გააჩნდა გერმანიას ამიერკავკასიაში; 3) ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში გაუგზავნელობით, დაშვებული იქნა თუ არა პოლიტიკური შეცდომა.

რაც შეეხება გერმანიისა და ოსმალეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში, ამის შესახებ ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით ცდილობდნენ იმ ძირითადი ფაქტორების წინ წამოწევას, რომლებიც ოსმალეთ-გერმანიის პოზიციას იდენტურს ხდიდა. ამ მხრივ, ყურადღებას გ. ვეშაპელის საგაზეთო სტატია „გერმანეთი, ოსმალეთი და საქართველოს საკითხი“ იქცევს. პუბლიკაციის ძირითადი განსჯის საგანს, გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის ფონზე, საქართველოს სამომავლო ბედის წარმოჩენა წარმოადგენდა. პრობლემის უკეთ გააზრების მიზნით, გ. ვეშაპელი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამემწის დოქტორ ლეპსუსის მიერ წარმოთქმული სიტყვის იმ ნაწილს იმეორებდა, სადაც გერმანიის ხელისუფალთა მიზნები და ამოცანები კონკრეტულად იყო გაწერილი. გ. ვეშაპელის მიერ მოტანილი მონაცემების მიხედვით, 1) რუსეთის დამარცხებისა და გერმანიის პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთის ფეხზე ვერწამოდგომისა და მოსალოდნელი საფრთხის სათავეშივე ჩაკვლის მიზნით, მისთვის „სასტიკი ქირურგიული ოპერაცია“ უნდა ჩატარებინათ; 2) რუსეთსა და გერმანიას, რუსეთსა და ოსმალეთ-სპარსეთს შუა მცხოვრები ერები, რუსეთისგან უნდა ჩამოეცილებინათ; 3) რუსეთი, ბალტიისა და შავი ზღვიდან მოეწყვიტათ, სკანდინავიიდან ჩინეთამდე მისთვის ახალი სახელმწიფოების „რკინის ყორე“ შემოერთება; 4) აღედგინათ პოლონეთის, ლიტვისა და ფინეთის სახელმწიფოები; 5) გერმანელთა დახმარებით შეექმნათ ოსმალეთის „გაერთიანებული მაჰმადიანური მცირეაზია თეირანიდან – ბაქომდე და სტამბოლამდე.“ აღნიშნული

ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ა) რუსეთისადმი განაჩენი, გერმანიას წინასწარვე ჰქონდა გამოტანილი; ბ) რუსეთის იმპერიის დაშლის ხარჯზე, გერმანია-რუსეთს შორის ახალი სახელმწიფოების (ბუფერის) შექმნით, რუსეთის იზოლაციაში მოქცევა იყო გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მომგებიან პოზიციაში პოლონეთი, ბალტიისპირეთი და ფინეთი აღმოჩნდა, რადგან გერმანიის ხელისუფლება მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდა მიზნად. რაც შეეხება კავკასიას და კერძოდ საქართველოს, იგი ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიურ წარმონაქმნად უნდა დარჩენილიყო. ამ იდეის სისწორეს თვით ლეპსუსიც ადასტურებდა. „გერმანიის კავშირისა და ოსმალეთის ბედი – ამბობდა ლეპსუსი – გერმანიის ფრონტზე უნდა გადაწყდეს. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ამიერკავკასიას ოსმალეთს შევუერთებთ და ავტონომიურ საქართველოს შევქმნით ოსმალეთის სიუხერენიტეტის ქვეშ. ჩვენ ვიცით... ქართველთა და თათართა კეთილი განწყობილება და ისიც, რომ ქართველებს არ ეშინიათ თათრებისა ისე, როგორც სომხებს... თათრები (აზერბაიჯანელები, შ.ვ.) თურქებს შეუერთდებიან და ამგვარად აღმოსავლეთი და დასავლეთი ამიერკავკასია მტკიცედ შეუკავშირდება ოსმალეთს.“

აქ ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანსს უნდა მიექცეს: ა) მართალია, აზერბაიჯანელები თავიანთი გენეტიკური და სარწმუნოებრივი წარმომავლობით ოსმალეთს განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეუერთდებოდნენ, მაგრამ, ამას ვერ ვიტყვით ქართველებზე. თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ქართველთა ცნობიერებაში, ოსმალეთი დაუძინებელი მტრის სახით აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე, ოსმალეთისადმი ქართველთა კეთილგანწყობისა და „არმოშიშობის“ ლეპსუსის „ჰიპოთეზა“ სათავეშივე მცდარი იყო. იგი ქართველების მხრიდან ოსმალეთისადმი საუკუნეების მანძილზე რელიგიურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას, ქართველთა ეროვნული სახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვას უკეთებდა იგნორირებას; ბ) რაც შეეხება ოსმალეთისადმი სომხების დამოკიდებულებას, ლეპსუსი აქაც შეცდომას უშვებდა, რადგან 1915-1916 წლებში ოსმალების მიერ ჩატარებული სომეხთა გენოციდიდან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია, ოსმალეთის შემადგენლობაში შესვლას სომხები „გულხელდაკრეფილი“ შეხვედროდნენ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწის მიერ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვიდან, ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი ამონაწერი იმის დამადასტურებელია, რომ გერმანიის ხელისუფალნი 1917 წლის დეკემბრამდე, საქართველოს მომავალს, ოსმალეთის შემადგენლობაში მოიაზრებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიას, თავისი მოკავშირის სასარგებლოდ, ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ საკითხი წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ ჩანაფიქრის აღსრულების შემთხვევაში, ოსმალეთი, რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფო გახდებოდა. პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ, გერმანიის მოკავშირეებსა და რუსეთს შორის დროებითმა დაზავებამ (1917 წლის 2 დეკემბერი), ამიერკავკასიისადმი გერმანიის ხელისუფალთა დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. თუკი პირველ ეტაპზე გერმანიის მმართველი წრეები ბუფერის შექმნას მხოლოდ გერმანია-რუსეთს შორის ფიქრობდა. დროებითი ზავის შემდეგ, ოსმალეთსა და რუსეთს შორისაც ანალოგიური პოლიტი-

კური კურსის სამომავლოდ (პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემთხვევაში) გატარების აუცილებლობას დაუჭირა მხარი. ამიერკავკასიისადმი „ოთხთა კავშირის“ სახელმწიფოების მხრიდან პოზიციის ცვალებადობამ, ამიერკავკასიის ერები (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ეროვნული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივის წინაშე დააყენა. ეს საკითხი იმ ეტაპზე იმდენად აქტუალური იყო, რომ იგი ქართული ინტელიგენციის მსჯელობის ერთ-ერთ ძირითად საგნად იქცა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს მ. ადამაშვილის\* სტატია „ზავი ოსმალეთთან“ იქცევს. ამ პუბლიკაციით, ავტორი შეეცადა საზოგადოებისათვის დასაბუთებული ფორმით წარმოეჩინა გერმანიისა და ოსმალეთის ხელისუფალთა ფერისცვალება ამიერკავკასიასთან მიმართებაში. მისი სამართლიანი მტკიცებით, რამდენადაც რუსეთი ოსმალეთის დაშლითა და ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტების დაკავებით იყო დაინტერესებული, ამ გეგმის ხელშეშლისა და ოსმალეთისათვის უსაფრთხოების შექმნის მიზნით, გერმანიის მმართველმა წრეებმა წინა პლანზე კავკასიის სახელმწიფოს შექმნის საკითხი წამოსწია. „ოსმალეთსა და გერმანიაში – წერს მ. ადამაშვილი – გაცოცხლდა ოსმალეთზე ორმოციოდე წლის წინათ ინგლისში შედგენილი გეგმა – რუსეთისა და ოსმალეთის გაყრა-დაშორება ბუფერის, – დამოუკიდებელი კავკასიის შექმნით.“ ეს იმას ნიშნავს, რომ კავკასიის სახელმწიფოებრიობის საკითხთან მიმართებაში, გერმანიისა და ოსმალეთის ხელისუფალთა ასეთი დამოკიდებულება კეთილ ნებას არ წარმოადგენდა. იგი რუსეთისგან თავდაცვის მიზნით გადადგმული იძულებითი ნაბიჯი იყო. ამასვე ადასტურებს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „გერმანიის ზავის წინადადება.“ მასში გარკვევითაა მითითებული, რომ „გერმანიის მთავრობას სერიოზულად განუზრახავს ამიერკავკასიაც ბუფერად გახადოს და ამ ნიადაგზე უკვე მუშაობაც დაუწყია.“

გერმანიის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება მარტო ოსმალეთის ინტერესების გათვალისწინებით არ იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელ ფაქტორს გერმანიის აღმოსავლური კურსის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება წარმოადგენდა. ქართველ პოლიტიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ ეტაპზე შექმნილ პოლიტიკურ პროცესებსა და ამა თუ იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, ობიექტურ შეფასებას აძლევდნენ. აქედან გამომდინარე, იმ ძირითადი ფაქტორის წინ წამოწევასა და საზოგადოებამდე მიტანას ცდილობდნენ, რომელიც ამიერკავკასიის რეგიონისათვის, განსაკუთრებით საქართველოსათვის იქნებოდა ხელსაყრელი. ამ შემთხვევაში, კონკრეტულად სვამდნენ საკითხს, თუ რას მისცემდა გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელება საქართველოს. აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანსს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მხედველობაში გვაქვს სამომავლოდ ამიერკავკასიის ბუფერული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. ამ შემთხვევაში, გერმანიის ხელისუფალთა ჩანაფიქრს, აღმოსავლური პოლიტიკის კავკასიის ხაზით გატარების ხელშემშლელის – რუსეთის ბლოკირება ელო საფუძვლად და არა მხოლოდ ოსმალეთის უსაფრთხოების ინტერესები. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მხრიდან ეს ფაქტორი შესანიშნავად

იქნა დანახული. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა“ მოწინავე სტატიაში „მოლაპარაკება ბათუმში“ წერდა, რომ გერმანიას ამიერკავკასიაში „უნდა დამოუკიდებელი ჩრდილოეთის საფარი ქვეყანა, რომელიც თავისი საკუთარი ძალ-ღონით შეაჩერებს ჩრდილოეთიდან მომავალ მტერს და ამით გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკას ხანგრძლივად უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მას საშუალება ექნება დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან თავისუფალი აღებ-მიცემობა იქონიოს და ამ გზით განამტკიცოს თავისი საგარეო პოლიტიკა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის პირველხარისხოვან ამოცანას, კავკასიის გავლით, აღმოსავლეთის ბაზრებისა და მისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ნედლეულის დაპატრონება წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ამიერკავკასიას ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“ გარკვევით წერდა; „ამიერკავკასია, სპარსეთი, თურქესტანი და საზოგადოთ აზიის ტერიტორია უნდათ თავიანთი ეკონომიური გავლენის ქვეშ დააყენონ და შეიძინონ ის, რაც მათი ინდუსტრიის მთავარ დარგებს სჭირია... თუ გერმანიას შერჩა... ძლევა მოსილება, ის არას გზით არ დასთმობს აღმოსავლეთის მთავარ პოლიტიკას და ამიერკავკასიაში, სპარსეთში და თურქესტანში რუსეთს ბატონობის უფლებას არ მისცემს. ეს გერმანიის მთავარი მიზანია და ამ მიზანს, ვიდრე მას ძალა ხელთ აქვს, არავის დაუთმობს. გერმანიის ისტორიული მისია აღმოსავლეთში, რუსეთის შესუსტება, მისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის საზღვრის დადება.“ ეს ამონაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს სწორ ანალიზს უკეთებდა. იმავედროულად უცდომლად აფასებდა გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს გეოპოლიტიკურ როლსა და მის შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, მათ წინაშე გამოკვეთილი ფორმით გერმანული ორიენტაციისადმი უპირატესობის მინიჭების საკითხი პრინციპულად იდგა დღის წესრიგში. გასარკვევი რჩებოდა თვით გერმანიის ხელისუფალთა პოზიცია იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ ისინი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან მიმართებაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვან განაცხადს გერმანიის მოკავშირის – ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის კომისარიატისადმი შეთავაზებული დროებითი ზავის დადების წინადადება წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ოსმალეთის მთავარსარდლის ვენიბ ფაშას\* მიერ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარის მთავარსარდლის პრჟევალსკისადმი გაგზავნილი წერილი. აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია გასათვალისწინებელი. კერძოდ, დროებითი ზავის შესახებ წინადადების შეთავაზება მას შემდეგ მოხდა, როცა მოკავშირეებსა და საბჭოთა რუსეთს შორის ამის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანიის მხარე, ამიერკავკასიის რუსეთის შემადგენელ ნაწილად აღარ განიხილავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკება და 1917 წლის 2 დეკემბერს დადებული დროებითი ზავის პირობები, ამიერკავკასია-ოსმალეთის ურთიერთობაზედაც უნდა გავრცელებულიყო და ამიერკავკასიის ფრონტისთვისაც სავალდებულო ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, მოკავშირეების მხრიდან ამკარად იკვეთება საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის

თუნდაც ფორმალურად გამოყოფისა და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ოფიციალურად წარმოჩენის მცდელობა. ამ ხელშეკრულებით, საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რუსეთში მცხოვრები ყველა ერის თვითგამორკვევა სრულ დამოუკიდებლობამდე ეღიარებინა. მართალია, აქ ამიერკავკასია კონკრეტულად არ იყო დასახელებული, მაგრამ ხელშეკრულების ეს ნაწილი ამ რეგიონზედაც ვრცელდებოდა. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის კომისარიატისა და ოსმალეთის წარმომადგენლებს შორის ერზინჯანში 1917 წლის 5 დეკემბერს ხელმოწერილი დროებითი ზავის შეთანხმების პირობები წარმოადგენს. ეს ხელშეკრულება, ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა და არა ოსმალეთის ჯარის უძღურებამ, როგორც ამის შესახებ ბ. თევზაია წერს. მისი მტკიცებით „ოსმალეთის ჯარმა დაკარგა ძველებური ბრძოლის უნარი... სასწაული იქნება, რომ ოსმალეთის დღევანდელმა ჯარმა აქ რაიმე ხეირი ნახოს... კავკასიის დემოკრატია მთელი თავისი ძალღონით დაიცავს თავის რევოლუციონურ არსებობას და ოსმალეთის ნახევრად არეულ ჯარს თავის შეცდომას ადვილად გაასწორებინებს.“ პოლიტიკური მოღვაწის მხრიდან გაკეთებული ასეთი შეფასება შეცდომას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ამიერკავკასიის რეგიონში და თვით ფრონტზე შექმნილი სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს იყო მოკლებული. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს: 1) რუსეთის ჯარის მიერ ამიერკავკასიის ფრონტის თვითნებურად დატოვება; 2) ამიერკავკასიის კომისარიატის მხრიდან ეროვნული საჯარისო შენაერთების ვერშექმნა; 3) ფრონტზე მიტოვებული სამხედრო ქონებისა და სტრატეგიული ობიექტების დაუცველობა. ეს ფაქტორები ოსმალეთის მხარეს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული. ამიტომ იყო, რომ იგი ერზინჯანში გამართული მოლაპარაკების დროს, პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში უკომპრომისო პოზიციას ავლენდა. ამის შესახებ თვით ამ მოლაპარაკების უშუალო მონაწილე ბ. თევზაიაც მიუთითებდა. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ერზინჯანის დროებითი საზავო შეთანხმების მეთორმეტე მუხლით, საბჭოთა რუსეთსა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის ხელმოსაწერი საბოლოო ხელშეკრულების ყველა პუნქტი, ამიერკავკასიის ფრონტისთვისაც სავალდებულოდ იქნა გამოცხადებული.

მართალია, ოსმალეთის სარდლობამ თავისი პრეტენზიები, დიპლომატიური მოსაზრებით, ოფიციალურად არ გაამჟღავნა, მაგრამ, ხელშეკრულებაში ჩადებული ზემოაღნიშნული ფორმულირებიდან გამომდინარე, ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის შექმნისთანავე, ფორმალური თვალსაზრისით ამიერკავკასიისადმი გარკვეული მოთხოვნების წაყენების „სამართლებრივი“ მხარე დაიტოვა. ასეთი ნაბიჯი შემთხვევითი არ იყო. როგორც ლოკუმენტური მასალიდან დასტურდება, ოსმალეთის დიპლომატიური წრეები, საბჭოთა რუსეთისადმი გერმანიის მხრიდან ბრესტის დროებითი ხელშეკრულებით წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებს შესანიშნავად იცნობდა. ისიც გარანტირებული ჰქონდა, რომ ტერიტორიულ საკითხთან მიმართებაში, გერმანია, ოსმალეთს ლობირებას გაუწევდა და მისი პოზიცია ბოლომდე უცვლელი დარჩებოდა. თუკი ამ ფონზე განვიხილავთ ერზინჯანში ხელმოწერილი დროებითი შეთანხმების მეთორმეტე მუხლს, ამიერკავკასიის დელეგაციამ დიპლომატიურთან ერთად, პოლიტიკური

შეცდომაც დაუშვა. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ბრესტში დასადები ზავის პირობების შეთანხმების შესახებ ერზინჯანში ჩასული ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ სრული გაუთვითცნობიერებლობით. ამიტომ, ნებსით თუ უნებლიედ, დელეგაციის წევრების მიერ თუნდაც ფორმალურად, წინასწარ იქნა აღიარებული ბრესტის მომავალი საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯერ კიდევ უცნობი მოსალოდნელი ვალდებულებები.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ხელისუფლების სასარგებლოდ ორი ფაქტორი მოქმედებდა: 1) ხელშეკრულების დროებითობა და დიდი სახელმწიფოების დაზავებისთანავე მისი ავტომატურად შეწყვეტა; 2) რამდენადაც ეს დროებითი ზავი, საგარეო საქმეთა სამინისტროების უწყების ოფიციალური წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე დაიდო, მან მხოლოდ მეომარ მხარეთა ფრონტის სარდლობის დონეზე საომარი მოქმედებების შეჩერების შესახებ გაფორმებული შეთანხმების სახე მიიღო. ამიტომ იყო, რომ ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საზავო მოლაპარაკებების მომდევნო ეტაპზე, ოსმალეთის მხარე აღნიშნულ ხელშეკრულებას არც კი იშველიებდა, რადგან იგი ძალადაკარგულად ითვლებოდა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, დროებითი საზავო ხელშეკრულება, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატია „ზავი კავკასიის ფრონტზე“ იქცევს. ერზინჯანის დროებითი საზავო შეთანხმება აქ დადებით კონტექსტშია წარმოჩენილი და იგი ამიერკავკასიის კომისარიატის, როგორც ადგილობრივი მთავრობის მიღწევად გა მოცხადებული. ამასთან დაკავშირებით იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელსაც წილად ხვდა ამ მორიგების ხელმძღვანელობა, არ შეეძლო საყოველთაო ზავზე ლაპარაკი, რადგან იგი მხოლოდ ადგილობრივი მთავრობაა... ამ შეზღუდულ ფარგლებში კი მან მიაღწია სწორეთ ისეთ ზავს, რომელიც ხალხის ინტერესებს და პატივს სავსებით შეეფერება.“ სამწუხაროდ, აქ გვერდი ჰქონდა ავლილი იმ რეალურ საშიშროებას, რომელიც აღნიშნული შეთანხმების მეთორმეტე მუხლიდან გამომდინარე, ბრესტში საბოლოო ხელშეკრულების გაფორმებით შეიძლება წარმოქმნილიყო. ეს საფრთხე, გ. ქიქოძემ\* კარგად შენიშნა და თავისი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში – „ზავის საგანი და საქართველო“ ჩამოაყალიბა. მისი სამართლიანი მტკიცებით, რუსეთის ხარჯზე შეკრული საზავო ხელშეკრულება, საქართველოსათვის საზარალო აღმოჩნდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ ერთდროულად გერმანიისა და ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიები უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამ მხრივ, გ. ქიქოძე განსაკუთრებულ ყურადღებას ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე მიაპყრობდა. იგი სავსებით კანონზომიერად სვამდა კითხვას: „საით გაიწვდის ხელს ოსმალეთი – ჩრდილო აფრიკისა თუ ბათუმ-ტრაპიზონისაკენ?“ და იქვე პასუხობდა: „ეს დამოკიდებულია არა მარტო დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე, არამედ... ხიშტების მჭერმეტყველებაზე. სანამ



ტრაპიზონში, ისპირსა და არზრუმში რუსეთის ჯარი იდგა, ოსმალეთის პრეტენზიებს ჩვენთვის მხოლოდ ანეგდოტური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ თუ მცირე აზიისა და ლაზისტანის ფრონტი სავსებით გატიტვლდა, შეიძლება ეს ანეგდოტი საქართველოსა და სომხეთისათვის მწარე დრამად იქცეს... ქართველებმა და სომხებმა უნდა იზრუნონ, რომ ანდრიანოპოლის ბედი არ ერგოს ტრაპიზონს და ბათუმს, არზრუმსა და ყარსს.“

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ გ. ქიქოძეს, ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და მისი ნეიტრალიზების რეალურ საშუალებად „ნიშტების მჭერმეტყველება,“ ანუ მოწინააღმდეგისადმი სამხედრო ძალის დაპირისპირება მიაჩნდა. მართალია, საკითხი სწორად იყო დასმული, მაგრამ პასუხგაუცემელი რჩებოდა უმთავრესი – რა სამხედრო ძალა უნდა დაეპირისპირებინათ ოსმალური საფრთხისადმი. იმ პერიოდის სინამდვილიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის არცერთ ერს (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ამის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნდა, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ მათ რეგულარული ჯარი არ ჰყავდა. ხოლო ენთუზიაზმზე დაფუძნებული მოხალისეებისგან შედგენილი სამხედრო შენაერთები, არსებული პოლიტიკური და საომარი სიტუაციიდან გამომდინარე, ოსმალეთის რეგულარულ ჯართან სრული წარმატების შესაძლებლობას გამორიცხავდა. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, გაზეთი „ერთობა“ მოწინავე სტატიაში – „ზავის გარშემო“ – შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის თავისებურ გზას ეძებდა. მკითხველი საზოგადოებისათვის რომ უკეთ გასაგები ყოფილიყო, იგი დაწვრილებით განიხილავდა საზავო პროცესებთან მიმართებაში მეომარ სახელმწიფოთა ინტერესებს და იქვე დასძენდა: „ზავის საქმე... მეტად ცუდ მდგომარეობაშია, უსაშინლესი და უსასტიკესი უღელი მოელის... რუსეთის მრავალტანჯულ ხალხს და ამ მძიმე უღლის ამორება მას არ შეუძლია. შინაური სამოქალაქო ომის... გამო იგი სრულიად უძლურია, რათა საგარეო პოლიტიკაში რაიმე ძალა და მხნეობა გამოიჩინოს.“ ასეთ პირობებში, იგივე სტატია გამოსავალს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ხედავდა, რადგან რუსეთის სინამდვილეში იგი ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოდ მიაჩნდა. აქედან გამომდინარე, პრინციპულად აყენებდა საკითხს, საზავო მოლაპარაკება ტროცკისა და ლენინის მთავრობის ნაცვლად, დამფუძნებელი კრების პრეროგატივა გამხდარიყო. „მხოლოდ ამით შეუძლია რუსეთის ხალხს – ვკითხულობთ იმავე წერილში – ოდნავ მაინც გამოასწოროს ზავის პირობები და მისი უმძიმესი უღელი... შეიმსუბუქოს.“ თუკი ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯი გადაიდგმებოდა, საქართველოსათვის ოსმალური საფრთხის აცილების შესაძლებლობა შეიქმნებოდა. მთავარი ის არის, რომ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, საღი გონებით შეფასებასა და არსებული სინამდვილის გათვალისწინებით მოქმედებას საჭიროებდა. მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთის სახელისუფლებო წრეები, გერმანიასთან სეპარატული ზავის პირობების შესამუშავებლად პეტერბურგში სათანადო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ამის შესახებ, გარკვეული ინფორმაცია ამიერკავკასიის კომისარიატსაც გააჩნდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის ტერიტორიულ საზღვრებთან მიმართებაში

მიღწეული წინასწარი შეთანხმება, ამიერკავკასიის კომისარიატისათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ამ მოლაპარაკების პროცესში მიღებული წინასწარი შეთანხმების პირობები ამიერკავკასიის კომისარიატისთვისაც უცნობი რჩებოდა, რეგიონის უსაფრთხოების ერთადერთ გზას საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებლად მოქმედება წარმოადგენდა. ამის გარკვეულ საფუძველს ოსმალეთის არმიის მთავარსარდლის ვეხიბ ფაშას მიერ კავკასიის არმიის სარდლის გენერალ ოდიშელიძისადმი 1918 წლის 1 იანვარს გაგზავნილი წერილი იძლეოდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ვეხიბ ფაშა „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობას“ (Независимым Кавказским Правительством) მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენის მიზნით, თბილისში მოსალაპარაკებლად დელეგაციის გამოგზავნას სთავაზობდა. იმავედროულად, ოდიშელიძეს სთხოვდა, რომ ეს წინადადება კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობისათვის გაეცნო. ამიერკავკასიის კომისარიატის „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობის“ სახელით მოხსენიება, ოსმალეთის გენერლის მხრიდან დიპლომატიური მანევრირება იყო, რადგან, აღნიშნულ ფაქტს რაუფ-ბეიმ ტრაპიზონის კონფერენციაზე იურიდიული ძალის არმქონე „აბსტრაქტული წინადადება“ უწოდა. ოსმალეთის მიზანს იმ ეტაპზე საბჭოთა რუსეთის გარეშე, ამიერკავკასიის კომისარიატის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერაზე დათანხმება წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, ამ წერილში გატარებული ძირითადი დებულება ოსმალეთის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან თვით დოკუმენტი ერთი გენერლის მიერ მეორე გენერლისადმი გაგზავნილი, ხოლო ამ უკანასკნელს „შუამავლის“ ფუნქცია აქვს დაკისრებული. თუკი ოსმალეთის ხელისუფლება, ამიერკავკასიას მართლაც დამოუკიდებლად თვლიდა, სამართლებრივი თვალსაზრისით რეგიონის ასეთი ფორმით აღიარების შესახებ განცხადება არა გენერლის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების დონეზე უნდა გაკეთებულიყო. ამიტომ იყო, რომ აღნიშნული წერილის შინაარსი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის გარკვეულ ეჭვს იწვევდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ჩვენ არ ვიცით რა მოსაზრებით თვლის ოსმალეთი კავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და თბილისს ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქად. პირველი საზავო მოლაპარაკების (ერზინჯანი, შ.ვ.) დროს ამის საბუთი ოსმალეთისათვის ჩვენ არ მიგვიცია. ამიერკავკასიის დემოკრატიას არა თუ არ სურს რუსეთის დემოკრატიისაგან ჩამოშორება, პირიქით, ჩვენი დემოკრატია მოუთმენლად მოელის იმ მომენტს, როცა რუსეთის დღევანდელ რევოლუციონურ ფრონტს კვლავ აღადგენს და ძმათა შორის სამარცხვინო ომის ალაგს შინაური ცხოვრების გარდაქმნის საკითხი დაიჭერს.“

გაზეთ „ერთობის“ მხრიდან გაკეთებული ეს განცხადება, ამიერკავკასიის კომისარიატის წევრთა უმრავლესობის ძირითად თვალსაზრისს გამოხატავდა. მეორე მხრივ, იგი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატს დემოკრატიული რუსეთის აღდგენის იმედი ჰქონდა. ამიტომ, მისი საგარეო პოლიტიკური კურსი ამ ილუზიაზე იყო დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი უშუალოდ ოსმალთა გენერლის მიერ იყო გამოგზავნილი და შუამავლის ფუნქციას ქართველი გენერალი ოდიშელიძე ას-

რულებდა, იგი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 2 იანვრის სხდომაზე მაინც იქნა განხილული. ამის დადასტურებას იმავე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. ქართული საკანონმდებლო ორგანოს წინაშე პრინციპულად დაისვა კითხვა, თუ როგორი სახის პასუხი გაეცათ ოსმალეთის გენერლისადმი. ამ საკითხზე სხდომის მონაწილეთა აზრი სამ ნაწილად გაიყო: 1) ნ. ჟორდანიას\* ნ. რამიშვილი\* და ე. გეგეჭკორი\* ოსმალეთთან ზავის დაჩქარებით დადებას აუცილებლობად მიიჩნევენ. იმავედროულად, რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე შეკრებილი ყველა მთავრობის (უკრაინის, მთიელების, დონის, ბოლშევიკების) წარმომადგენლებთან მოლაპარაკების საჭიროებას მიზანშეწონილად თვლიდნენ. მათი მტკიცებით, ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. 2) რაც შეეხება აკ. ჩხენკელს\*, იგი არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვდა. ამ საკითხის ხანგრძლივი დროით გადადება, აკ. ჩხენკელს ამიერკავკასიის დალუპვად მიაჩნდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, რამდენადაც კავკასიის ფრონტი მორღვეული იყო და დამხმარე ძალაც არ ჩანდა, ოსმალეთთან ზავი დაჩქარებული ტემპით უნდა შეეკრათ. იგი სხდომის მონაწილეებს შეახსენებდა: „როგორც დეპეშიდან დაინახეთ, იქ ხაზგასმით ამბობენ „კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობაზე.“ აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ოსმალებს სურთ გადაჭრილი პასუხი მიიღონ. მდგომარეობა ჩვენი მეტად საშიშია.“

ამ საკითხთან დაკავშირებით, ე. გეგეჭკორმა წამოაყენა წინადადება, ოსმალეთის გენერლისადმი პასუხის ისეთი ფორმა შეემუშავებინათ, არც უარი ყოფილიყო და არც თანხმობა, რაც ლავირების მეტ საშუალებას იძლეოდა. სამწუხაროდ იგი ყურადღების მიღმა ტოვებდა უმთავრესს, კერძოდ, რამდენად მისაღები იქნებოდა ოსმალეთისათვის მის მიერ შეთავაზებული პასუხის ფორმა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, რა გზას დაადგებოდა ამიერკავკასიის კომისარიატი. 3) რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს გ. გვაზავას\*, მისი აზრით, ოსმალეთი, რამდენადაც ამიერკავკასიის მთავრობას „დამოუკიდებლად“ თვლიდა, ამიერკავკასიის კომისარიატს საზავო მოლაპარაკება სხვებისგან დაუკითხავად უნდა ეწარმოებინა. აქედან გამომდინარე, იგი პრინციპულად მოითხოვდა: „ჩვენ უნდა... გამოვაცხადოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ზავიც დამოუკიდებლად შევკრათ. ჩვენ არც წინათ ვომობდით ვისთანმე, არც ეხლა გვსურს ომი.“

საკითხის ასეთი ფორმით დასმის მიუხედავად, პასუხგაუცემელი რჩებოდა: 1) იმ მომენტში „ოთხთა კავშირისათვის“ რამდენად მისაღები აღმოჩნდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაშინ, როდესაც ოსმალთა გენერალი მხოლოდ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე აკეთებდა აქცენტირებას; 2) საქართველოს პოლიტიკური სპექტრი მომზადებული იყო თუ არა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, მოასლოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა რომელ პოლიტიკურ ძალას უნდა ეტვირთა. რაც შეეხება გ. გვაზავას მიერ გაკეთებულ განცხადებას „ჩვენ არც წინათ ვომობდით ვისთანმე“, ეს მთლად სწორი დებულება არ იყო, რადგან ამიერკავკასია, რამდე-

ნადაც რუსეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ნებისთ თუ უნებლიედ, საომარ პროცესებში მაინც იყო ჩართული. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული მხედრობა ხომ კავკასიისა და სხვა ფრონტებზეც იბრძოდა. აქედან გამომდინარე, ოსმალეთის მხარე ამიერკავკასიას მეომარ „სახელმწიფოთა“ რანგში განიხილავდა. მის მიერ ამიერკავკასიის კომისარიატის „დამოუკიდებელი კავკასიის მთავრობად“ მოხსენიება და საზავო მოლაპარაკების დაწყების შეთავაზება, მთელ რიგ მიზეზებთან ერთად, ზემოაღნიშნული ფაქტორითაც იყო განპირობებული.

შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, საფუძვლიან შეფასებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებდა. ამ კუთხით თუკი განვიხილავთ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, 1918 წლის 2 იანვარს ვენიბ ფაშასათვის გასაგზავნი პასუხის შესახებ მიღებულ რეზოლუციას, – „მეზობელ მთავრობებს მოველაპარაკებით და 20 იანვრისათვის მოგცემთ პასუხს,“ პოლიტიკური თვალსაზრისით, შეცდომად უნდა იქნას გამოცხადებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ამ მცდარ დებულებაზე შეთანხმდა, საკითხი გადაწყვეტილად არ ითვლებოდა, რადგან ოსმალთა გენერალი პასუხს ამიერკავკასიის მთავრობისგან მოითხოვდა და არა საქართველოს ეროვნული საბჭოსაგან. ამიტომ, ზავის შესახებ ოსმალეთის წინადადება კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრის 1918 წლის 4 იანვრის სხდომაზე იქნა განხილული. აქ ძირითადად ორი პოზიცია გამოიკვეთა: 1) დეპუტატთა ერთი ნაწილი (თარხანოვი, ჩემოდანოვი, ჯუღელი\*, არზრუმოვი) ამტკიცებდა, რომ რამდენადაც 5 იანვრისათვის პეტროგრადში დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყება იყო დაგეგმილი, ოსმალეთთან ცალკე ზავის შეკერის უფლება ამიერკავკასიის კომისარიატს არ ჰქონდა. ამ მიმართულებით დამოუკიდებლად გადადგმული ნაბიჯი მოკავშირეებისადმი დალატად მიაჩნდა; 2) ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილი იმ აზრისანი იყვნენ, რომ რამდენადაც ამიერკავკასიას ომის გაგრძელება არ შეეძლო, ზავისათვის სათანადო პირობები უნდა მოემზადებინათ. დამფუძნებელ კრებას ვერ დაეყრდნობოდნენ, რადგან ბოლშევიკებისგან მისი დათხოვნის რეალური ალბათობა არსებობდა. ასეთ სიტუაციაში, ერთადერთ გამოსავალს მეზობელ ერებთან და დამფუძნებელი კრების წევრებთან შეთანხმებაში ხედავდნენ. აქედან გამომდინარე, პრობლემის გადაჭრას შემდეგი სახით ხედავდნენ: „ოსმალებს შევუთვალეთ, რომ განსაზღვრული დროისათვის პასუხს მოგცემთ.“ სწორედ ეს წინადადება დაელო საფუძვლად ოსმალეთის საზავო წინადადებისადმი საპასუხო რეზოლუციას. „ზავი უნდა დამყარდეს ისეთ საფუძველზე – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომელიც მისაღებია რუსეთის დემოკრატიისათვის. ამის გამო საჭიროთ ვთვლით გაუწყობთ, რომ ჩვენ რუსეთის რესპუბლიკის ნაწილს შევადგენთ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შევუდგეთ საზავო მოლაპარაკებას, როდესაც სათანადო რწმუნებულება მოგვივა ახლად შეკრებილი დამფუძნებელი კრებისგან. ჩვენს დეპუტატებს, რომლებიც დამფუძნებელ კრებაზე მიემგზავრებიან, დავალებული აქვთ პირველ რიგში დასვან განსახილველად თქვენი საზავო წინადადება და პასუხიც დაუყოვნებლივ გეცნობებათ. ამასთანავე საოლქო ცენ-

ტრი წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის კომისარიატს გამართოს მოლაპარაკება რუსეთის ყველა ერთეულის მთავრობებთან და მათ შორის... სახალხო კომისარიატის საბჭოსთან.“

ამ დოკუმენტის მიხედვით, ამიერკავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი, ამიერკავკასიას არა საბჭოთა რუსეთის, არამედ, არარსებული „დემოკრატიული რუსეთის“ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა, ხოლო ზავის დადების საკითხის გადაწყვეტას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების პრეროგატივად აცხადებდა. ასეთი სახის რეზოლუციის მიღება პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ დამფუძნებელი კრებისა და „დემოკრატიული რუსეთის“ აღდგენის იმედით, ოსმალთა გენერლის წინადადებას ფაქტიურად უარი ეთქვა. აღნიშნული პოზიცია წითელ ზოლად გასდევდა იმ პერიოდის გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს მოწინავე სტატია – „ზავის საკითხი“ იქცევს. მასში გამაფრთხილებელი ფორმით იყო მითითებული: „ჩვენ ვერ გვიხსნის ვერც იარაღის ჩხარა-ჩხური და ვერც რევოლუციონური ფრაზები. ჩვენი ძალა ერთობაშია. ასეთი ერთობის გამომხატველი იქნება დამფუძნებელი კრება. ამიტომ ზავის საკითხი უნდა გადაეცეს დამფუძნებელ კრებას და საზავო მოლაპარაკება... აწარმოვოს ამ კრების მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი, ზავის საკითხთან მიმართებაში, უპირატესობას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებას ანიჭებდა. იმ შემთხვევაში, თუკი დამფუძნებელი კრება, ამ საკითხზე, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, ამიერკავკასიის კომისარიატს, რუსეთის ნებისმიერ მთავრობასთან ზავის მისაღწევად მოლაპარაკება უნდა გაემართა. უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღების მიღმა რჩებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი – დროის ფაქტორი. დაუშვებდა თუ არა ოსმალეთის მხარე ამიერკავკასიის კომისარიატის „პოლიტიკურ მარჩიელობას“ და ზავის შესახებ პასუხის შეგნებულად გაჭიანურებას. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში არჩ. ჯაჯანაშვილს, როდესაც გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაში „ზავი ოსმალეთთან“ ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურთ შეახსენებდა: „1) ის ვინც ოსმალეთთან სეპარატული ზავის წინააღმდეგია, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება აუცილებლად შეიკრიბება; 2) უარის მიღების შემთხვევაში ოსმალეთმა ომი რომ განაახლოს და ბრძოლა დაგვიწყოს... ვინც მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კავკასიის ჯარსა და ამიერკავკასიის ერებს შეუძლიათ ომის გაგრძელება. არავითარი ზნეობრივი უფლება არ გვაქვს ამიერკავკასია კვლავ ომის ქარცეცხლში დავტოვოთ და არ დავიწყოთ საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან.“

არჩ. ჯაჯანაშვილის ეს გაფრთხილება ანგარიშგასაწევი იყო, რადგან 1918 წლის 5 იანვარს შეკრებილი დამფუძნებელი კრება, (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 6 იანვრის დეკრეტით დათხოვნილ იქნა. შექმნილმა ვითარებამ, ამიერკავკასიის კომისარიატი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამას ისიც დაემატა, რომ საბჭოთა რუსეთმა, გერმანი-

ასთან დადებული დროებითი ზავის შესაბამისად, ამიერკავკასიის ფრონტიდან რუსული ჯარის დაჩქარებული ტემპით დემობილიზაცია განახორციელა, რის გამოც, ამიერკავკასია ანარქიისა და ოსმალური აგრესიის აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა“ ბოლშევიკთა ამ ქმედებას შემდეგ შეფასებას აძლევდა: „ბოლშევიკებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ ფრონტიდან ჯარი გაქცეულიყო. მათ ადგილობრივი ერებისადმი სიძულვილს უქადაგებდნენ... ნაციონალური ჯარის შედგენას რუსეთის სამტრო ნაბიჯათ უსახავდნენ... დემობილიზაციის დეკრეტიც გამოსცეს... შიდა რუსეთი გერმანელ იმპერიალისტებს მიუგდეს, კავკასია ოსმალთა ფაშებს.“ რამდენადაც აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამებოდა, ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, საქართველოს ეროვნული საბჭო და ამიერკავკასიის კომისარიატი დილემის წინაშე აღმოჩნდა. აუცილებლობა, ორი ძირითადი საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებდა: 1) ფრონტიდან გამოქცეული გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის ნეიტრალიზებას და 2) ოსმალური აგრესიის შესაჩერებლად შესაბამისი თავდაცვითი მექანიზმის შემუშავებას. რაც შეეხება რუსი ჯარისკაცებისგან შექმნილ საშიშროებას, ის ბოლშევიკური პროპაგანდით იყო განპირობებული. ბოლშევიკები ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების დამხობასა და რეგიონის გასაბჭოებას ისახავდნენ მიზნად. ამ შემთხვევაში, ქართველი ბოლშევიკები ქვეყნის უსაფრთხოებასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე მაღლა რეგიონის გასაბჭოების იდეას აყენებდნენ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „ერთობას“, როცა მოწინავე სტატიაში – „საშინელი საფრთხე!“ ხაზგასმით წერდა: „ძნელია ამაზე მეტი უგუნურების წარმოდგენა. შეუძლებელია ამაზე მეტი დაბრმავება პოლიტიკური მოაზროვნის, პოლიტიკური პარტიის მიმდევრების. მაგრამ დღევანდელი, თავზენელაღებული ბოლშევიკებისგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ. დღემდე ჩვენი კუთხე დაცული იყო ამ ავანტიურისტთა ბოროტებისაგან. დღეს... უკვე მოჩანს ნიშანი ასეთი ანარქიის ცეცხლისა და ჩვენ გვინდა საზოგადოებას წინასწარვე დავანახოთ საშინელი საფრთხე ანარქიის.“

ასეთი სახის პუბლიკაციებს იმ ეტაპზე იდეოლოგიურთან ერთად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ამიერკავკასიის მოსახლეობას და განსაკუთრებით ქართველობას სრულად უნდა გაეცნობიერებინა რეგიონთან მიმართებაში წარმოქმნილი ორმხრივი საფრთხე. 1) იმ შემთხვევაში, თუკი ბოლშევიკები რუსული საჯარისო შენაერთების მეშვეობით თავიანთ ჩანაფიქრს აღასრულებდნენ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა თბილისი; 2) გაბოლშევიკებული რუსული მარბიელი ჯარის მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა თუ არა ოსმალური აგრესიისადმი დაპირისპირება და მისადმი გამკლავება. ეს საკითხები მაშინდელ ქართველ პოლიტიკურ მორვაწეებს სერიოზულად აღელვებდათ და ქვეყნისათვის მოსალოდნელი უბედურების აცილების შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას ცდილობდნენ.

დადასტურებულია, რომ თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ბოლშევიკები საფუძვლიანად იყვნენ მომზადებულნი. სარაყამიშიდან და ყარსიდან მათ

თბილისის ასაღებად 16 000 შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი დაძრეს. საქართველოს მთავრობის მაღალორგანიზებულად ჩატარებული შამქორის ოპერაციის შედეგად, 1918 წლის 9-დან – 12 იანვრის ჩათვლით, რუსი ჯარისკაცების 16 ეშელონი იქნა განიარაღებული და აზერბაიჯანის გავლით რუსეთში გასტუმრებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა“ მოწინავე სტატიაში „ამიერკავკასია და საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს“ წერდა: „გაბოლშევიკებული ჯარის ეშელონები... ყოველს წამს განადგურებას უქადა ჩვენს ქვეყანას და მთელი ენერგია, მთელი ყურადღება როგორც მთავრობისა ისე დემოკრატიული ორგანიზაციებისა იქეთკენ იყო მიპყრობილი, რომ ეს ეშელონები მშვიდობიანათ და უმტკივნეულოთ გაეტარებინათ... თბილისის განადგურება უკანასკნელი ეშელონების მიერ ერთ დროს ბეწვზე ეკიდა, მაგრამ... რკინის გზით მიმოსვლა ისე მოეწყო, რომ ეშელონები ცოტა დამშვიდდნენ და თავიდან აგვაცილეს ქვეყნის აოხრების, განადგურების და ბოლშევიკების გაბატონების საფრთხე.“

მართალია, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების მხრიდან საფრთხე დაძლეული იქნა, მაგრამ ამიერკავკასია მეორე რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში წინა პლანზე ოსმალეთის ჯარის ნაწილების გააქტიურების შესაძლებლობამ წამოიწია, რადგან, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ამიერკავკასიის ფრონტი სამხედრო შენაერთების გარეშე დარჩა. არჩ. ჯაჯანაშვილის მტკიცებით, რამდენადაც ოსმალეთი ამიერკავკასიის ფრონტზე დამარცხებული იყო, რუსულ ჯარს რომ საბრძოლო პოზიციები არ მიეტოვებინა, ამიერკავკასიის კომისარიატს, ოსმალეთთან გამარჯვებული ტონით დალაპარაკების შესაძლებლობა მიეცემოდა. ამ შემთხვევაში, „რევოლუციის წიაღში შობილი ლოზუნგის – უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის განხორციელების“ შესაძლებლობა შეიქმნებოდა. რამდენადაც ეს იდეა სინამდვილეს დასცილდა და ამიერკავკასიის ერები ოსმალეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, აუცილებელი გახდა რეგიონის ტერიტორიის დასაცავად შესაბამისი მექანიზმის შემუშავება. იგივე არჩ. ჯაჯანაშვილი, ამიერკავკასიის ერების წინაშე, ოსმალეთის აგრესიული მიზნების აღკვეთის საკითხს აყენებდა და ერთადერთ გამოსავლად გაწვრთნილი და ქვეყნის თავდაცვის სურვილით ანთებული ჯარის შექმნას მიიჩნევდა. მართალია, აღნიშნული იდეა არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას შეესატყვისებოდა, მაგრამ სურვილი და მისი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობები ერთმანეთს სცილდებოდა. ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „მობილიზაცია და ზავი.“ მასში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ჯარის შესაქმნელად მობილიზაციის გამოცხადება გამართლებული იყო, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება, თითქმის შეუძლებელი. ამის ძირითად მიზეზად შემდეგი ფაქტორები იყო დასახელებული: 1) ოთხწლიანი ომის შედეგები და ამ ომის არგაგრძელების სურვილი; 2) პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მობილიზაციისა და ფრონტზე გაგზავნის უძლურება; 3) საომარი მასალის, სურსათისა და ტანსაცმლის უქონლობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმავე სტატიაში, გარკვევით იყო მითითებული: „ეჭვს გა-

რეშეა – ჩვენთვის შეუძლებელი იქნება განზრახული მობილიზაცია სისრულეში მოვიყვანოთ და შესაძლებელი გავხადოთ დაცარიელებული ფრონტის გამაგრება. ჩვენ მწარე სინამდვილის წინაშე ვდგევართ და აუცილებელია, რომ კავკასიის რევოლუციონურმა დემოკრატია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.“

იგივე სტატიის ავტორი ადგილობრივ ხელისუფლებას, მხოლოდ მოხალისეთა ბაზაზე სთავაზობდა ჯარის შედგენას. იმავე გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, „კვლავ მობილიზაციის შესახებ“ ყაზარმული წესით გაწვრთნილი საყოველთაო სახალხო მილიციის დროულად შექმნის საკითხს აყენებდა. „ყოველი დაყოვნება და ყოყმანი – წერდა გაზეთი – სიკვდილს ნიშნავს... სეიმისათვის მხარდაჭერა და მისი გამაგრება უპირველეს ყოვლისა ჯარის შექმნით უნდა მოხდეს. განსაზღვრული ნაწილი ჯარში წავა, დანარჩენი კი სამხედრო მილიციას შეადგენენ.“ საკითხი მართლაც სწორად იყო დასმული, მაგრამ ყურადღების მირმა რჩებოდა ის ფინანსური საშუალება, რომლის საფუძველზედაც იმავე ჯარისა და მილიციის შეიარაღება, სურსათითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა მოხდებოდა. ამ შემთხვევაში, სურვილი და შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამიტომ, მოსახლეობის მისამართით მათ მიერ გაკეთებული მოწოდება, „ვისაც ზავი სურს ომისთვის უნდა ემზადოს!“ მხოლოდ უბრალო განცხადების დონეზე რჩებოდა. არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ამიერკავკასიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა, ოსმალეთთან ზავის დაუყოვნებლივ დადებას მოითხოვდა. საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში ამიერკავკასიის დელეგაციისადმი ანგარიშის გაწევა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ამიერკავკასიის კომისარიატი ჯარის შექმნის საკითხს დროულად გადაწყვეტდა და ფრონტიდან გაქცეულ რუს ჯარისკაცებს ადგილობრივი ძალებით ჩაანაცვლებდა. ამის აუცილებლობა, ქართულ პოლიტიკურ წრეებში კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამის დადასტურებას გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია, „რისთვის გვჭირდება შეიარაღება“ წარმოადგენს. „მტერს – ვკითხულობთ წერილში – ვერავითარი ტკიბილი სიტყვებით ვერ მოგხიბლავთ, ვერც სამართლიანობის გრძნობით ავუჩუყებთ გულს. იგი პატივს გცემს, როცა შენში ძალას ხედავს... როცა უძლური ხარ შენს დაჩაგვრას ეცდება. ეს რეალური ძალა ჯარია. ამიტომ... უნდა მოვიწვიოთ ისინი ვინც უკვე გაწვრთნილია.“

ამ მიმართულებით, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის პირველ მცდელობას, მობილიზაციის შესახებ ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტი წარმოადგენდა. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1) ჯარში გაწვევას ექვემდებარებოდა 19 წელს შესრულებული ახალგაზრდა; 2) სამხედრო-სავალდებულო სამსახურში დაბრუნება ევალებოდა 20-დან 25 წლამდე ასაკის იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯარის ნაწილები თვითნებურად ჰქონდათ მიტოვებული. თუ რამდენად განხორციელებადი აღმოჩნდებოდა აღნიშნულ დოკუმენტში ჩადებული მოთხოვნები, ამიერკავკასიის კომისარიატის მხრიდან ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობაზე და შესაბამის დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული.



ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც გენერალ ვენიზ ფაშას მიერ, 1918 წლის 1 იანვრის წერილით შემოთავაზებულ საზავო მოლაპარაკებას კონკრეტულის ნაცვლად ორაზროვანი პასუხი გასცა. ამით ოსმალეთთან პირდაპირი მოლაპარაკების შესაძლო შანსი გაშვებული იქნა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ იგივე ვენიზ ფაშა, (და არა ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყების წარმომადგენელი) 1918 წლის 3 იანვრით დათარიღებული რადიო ტელეგრამით ოდიშელიძეს სთხოვდა, ამიერკავკასიის მთავრობისათვის ეცნობებინა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილი ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლები მზად იყვნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ეცნოთ თუკი თავიანთი რწმუნებით აღჭურვილ დელეგატებს (იგულისხმება ამიერკავკასიის საპარლამენტო ორგანო – სეიმი, შ.ვ.) მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნიდნენ. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები თუკი მართლაც მზად იყვნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ასალიარებლად, ამის შესახებ ამიერკავკასიის მთავრობას ოფიციალური შეტყობინება იმავე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებიდან უნდა მიეღო. ეს უფრო სარწმუნო იქნებოდა, ვიდრე ოსმალთა გენერლის მხრიდან ქართველი გენერლისადმი გაგზავნილი დეპეშა და ამ უკანასკნელისადმი ამიერკავკასიის მთავრობასთან შუამავლის ფუნქციის დაკისრება. ამ შემთხვევაში, ვენიზ ფაშა ამიერკავკასიის წარმომადგენლობის, ბრესტში „მისატყუებელ პოლიტიკურ ეშმაკობას“ მიმართავდა. ჯერ-ჯერობით დოკუმენტური მასალით არ დასტურდება, რომ ბრესტის საზავო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, იმ ეტაპზე, რაიმე სახის ოფიციალური განცხადება გაეკეთებინოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, იგი გარკვეული ფორმით ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნესიმი ბეის მიერ ოსმალეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში (1917 წლის 21 დეკემბრიდან 1918 წლის 1 თებერვლი), ან გერმანიის მხრიდან ბრესტში მიწვევასთან დაკავშირებით გამოგზავნილ რადიო-დეპეშაში გარკვეული ფორმით მაინც აისახებოდა. ვენიზ ფაშას მიერ გამოგზავნილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი, ამიერკავკასიის მთავრობამ ოდიშელიძისაგან დაგვიანებით, 1 თებერვალს მიიღო. გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ დეპეშაში დასმულ საკითხთან მიმართებაში, ამიერკავკასიის მთავრობამ კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით ე. გეგეჭკორის მიერ ვენიზ ფაშასადმი გაგზავნილი 6 თებერვლით დათარიღებული დეპეშა წარმოადგენს. იგი ვენიზ ფაშას აცნობებდა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები მიმდინარეობდა და საბოლოო პასუხს იგი სამი კვირის შემდეგ აცნობებდა. იმავე დოკუმენტის მიხედვით, ამიერკავკასიის მთავრობა სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნას გამოთქვამდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა სამშვიდობო მოლაპარაკების ძირითადი დირექტივები და წინადადებები ამიერკავკასიის სეიმის, როგორც სრულიად კავკასიის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ იქნებოდა შემუშავებული.

ამ დოკუმენტის მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ამიერკავკასიის კომისარიატი, ოსმალთა გენერლისადმი კონკრეტული პასუხის გაცემას თავს არიდებდა. იგი არც „პოს“ და არც „არას“ ამბობდა. მას ლოდინის ტაქტიკური კურსი ჰქონდა არჩეული. ამიერკავკასიის კომისარიატმა ანალოგიური დამოკიდებულება გამოავლინა გერმანიის მხრიდან შეთავაზებული წინადადებისადმი ბრესტ-ლიტოვსკში წარმომადგენლობის გაგზავნასა და დამოუკიდებელი ზავის პირობების შემუშავებასთან დაკავშირებით. გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიაში: „გერმანიის ზავის წინადადება“, ეს წინადადება „იმპერიალისტური“ სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ ქმედებადაა შეფასებული. „უკეთუ ცენტრალური სახელმწიფოების ასეთი წინადადება მართალია და ისინი ამ წინადადებას სერიოზულად იძლევიან, მაშინ იგი ბევრის მთქმელია და ამაში იხატება მათი – განსაკუთრებით კი, გერმანიის საგარეო იმპერიალისტური „დრანგ ნაჰ პოსტენის“ (აღმოსავლეთისაკენ გაწევის) პოლიტიკა... დიდი ხანია ეს ლოზუნგი გაბატონებული კლასების ისტორიულ მისწრაფებას შეადგენდა და მისი პრაქტიკულად განხორციელება თანამედროვე მსოფლიო ომს საფუძვლად დაუდეს.“ მართალია, აქ სწორადაა დანახული გერმანიის ხელისუფლების აღმოსავლური პოლიტიკის არსი, მაგრამ ყურადღების მიღმაა დატოვებული უმთავრესი; ანუ, აღნიშნული პოლიტიკური კურსის განხორციელების შედეგად, რას მიიღებდა ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო. მითუმეტეს, იმ ეტაპზე ოსმალური აგრესიის გარდაუვალი საფრთხე და ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობდა. მართალია, ეს საშიშროება, როგორც ზემოთაც გვქონდა მითითებული, ამიერკავკასიის კომისარიატს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ბრესტში დელეგაციის გასაგზავნად და დაპირისპირებულ მეომარ სახელმწიფოებთან პირისპირ (დამოუკიდებლობის ფორმატში) საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, იმავე გერმანიის მხრიდან, წინასწარი გარკვეული გარანტიები იყო საჭირო. მაგრამ ამ საკითხზე გერმანიის წარმომადგენლობა დუმდა. იგი მხოლოდ „მიპატიჟებით“ დაკმაყოფილდა. ამ შემთხვევაში, ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან ნიუანსსაც უნდა მიექცეს. მხედველობაში გვაქვს, იმავე გერმანიის მხრიდან, თუნდაც ბრესტის დროებითი საზავო პირობების შესახებ ამიერკავკასიის კომისარიატის საქმის კურსში არ ჩაყენება. ამ მხრივ, ოსმალეთის მხარეც დუმილს ამჯობინებდა. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო და თვით ამიერკავკასიის კომისარიატი, ბრესტის დროებითი ზავის პირობებს, მხოლოდ უცხოური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ზოგადი მასალის მიხედვით იცნობდნენ. ამის დადასტურებას, გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული სტატია „საზავო მოლაპარაკება ბრესტში“ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ბრესტში „მიპატიჟების“ მიმართ ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს დუმილი, დანაშაულებრივ ქმედებად არ ჩაითვლება. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც ამიერკავკასიის კომისარიატს 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე ბრესტში მიმდინარე მოლაპარაკების შედეგები საზავო დელეგაციის თავმჯდომარის მდივნის (ლ. კარახანი) დონეზე

გააცნო, საბჭოთა რუსეთი იყო. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 13, 15 და 16 თებერვლის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები წარმოადგენს. ამ დოკუმენტების შესწავლიდან ირკვევა, რომ რუსეთ-გერმანიის საზავო მოლაპარაკებასთან და წინასწარი შეთანხმების პირობებთან მიმართებაში, ქართული პოლიტიკური აზრის მესვეურებმა ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინეს.

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის შემდგარ გარიგების პროცესს, ე. გეგეჭკორმა „გულგანგმირული რევოლუციის კუბოში ჩასვენება“ უწოდა. იმავდროულად, პრინციპულად დააყენა საკითხი, უშუალოდ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების გზების ძიების შესახებ. რაც შეეხება სეიმის 15 თებერვლის სხდომას, განსაკუთრებულ ყურადღებას ნ. ჟორდანიას მოხსენება იქცევს. მან მხარი დაუჭირა ოსმალეთთან ზავის დადების აუცილებლობას, მაგრამ კატეგორიულად უარყო ის საზავო პირობები, რომელზედაც საბჭოთა რუსეთი თანხმობას აცხადებდა. „ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ – ამბობდა ნ. ჟორდანია – ჩვენ ხელს არ მოვაწერთ, უმჯობესია ადგილზევე დავიზოცოთ ვინემ თავი მივცეთ შთამომავლობას სამუდამო წყევლა-კრულვისათვის.“ ნ. ჟორდანიას ეს პათოსი ამიერკავკასიის სეიმის 15 თებერვლის სხდომის ყველა მონაწილემ (მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიებმაც) გაიზიარეს. იმავე სტენოგრაფიული ანგარიშებიდან დასტურდება, რომ ამიერკავკასიის წარმომადგენლობის ბრესტში „მიპატიჟებასთან“ დაკავშირებით საკითხის განხილვისას, სეიმის აღნიშნული სხდომის მონაწილე პოლიტიკური პარტიების არცერთ წარმომადგენელს, ბრესტის საზავო ხელშეკრულების განხილვაში მონაწილეობის მიღების საკითხი არ დაუყენებია. ძირითადი ყურადღება უშუალოდ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაზე იყო გადატანილი. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის გ. ქიქოძეს, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში პირდაპირი მონაწილეობა „საგარეო ძალების“ დახმარების მეშვეობით, აუცილებლობად მიაჩნდა. მაგრამ ის არ აკონკრეტებდა, თუ რომელი სახელმწიფოს საგარეო ძალებისგან ელოდებოდა დახმარებას და რა ფორმით განხორციელდებოდა ეს დახმარება ამიერკავკასიასთან მიმართებაში. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თემა, აღნიშნული მოვლენებიდან ოთხი თვის შემდეგ, წინა პლანზე ეროვნულ-დემოკრატიებმა წამოსწიეს. მხედველობაში გვაქვს ა. ასათიანის პუბლიკაცია „ეროვნული პოლიტიკა“ (ნაწილი I), სადაც ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები და ამიერკავკასიის მთავრობა ბრესტის ხელშეკრულების უარყოფაში და საზავო კონფერენციის მუშაობის ბლოკირებაშია დადანაშაულებული. ეროვნული საბჭოს 1918 წლის 16 ივნისის სხდომაზე, უფრო რადიკალური იყო ი. მაჭავარიანის გამოსვლა. ორივე შემთხვევაში, მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები იყვნენ დადანაშაულებული და გვერდს უვლიდნენ იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში გაგზავნის საკითხის დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტა, მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებზე არ იყო დამოკიდებული. აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სახელისუფლებო ორგანოებში კონსესუსის საფუძველზე მიღწეული

შეთანხმების მიღწევა. ამ პროცედურის გავლა იმითაც იყო განპირობებული, რომ ბრესტში „მიპატიჟებული“ იყო არა საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მთავრობის უფლებამოსილებით აღჭურვილი დელეგაცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი პარიტეტულ საწყისებზე, ქართველებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით დაკომპლექტებულიყო. საკითხი უნდა დასმულიყო ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის სხდომებზე.

როგორც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ჩანს, დელეგაციის ბრესტში გაგზავნის საკითხი, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის სხდომებზე არ დასმულა. ამ მხრივ, სეიმის წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც კი დუმდნენ. რაც შეეხება კითხვას, არსებობდა თუ არა ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში წაუსვლელობის განმაპირობებელი ფაქტორები, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი დუმს. პროფ. მ. სვანიძის მტკიცებით, ბრესტში გამგზავრების შემთხვევაში, ამიერკავკასიის დელეგაციას შესაძლებლობა მიეცემოდა გერმანია და მისი მოკავშირეები ოსმალეთის მხრიდან გაცხადებული პრეტენზიების არაკანონზომიერებაში დაერწმუნებინა. მისივე თქმით, ამიერკავკასიის მთავრობას, უკიდურეს შემთხვევაში, უკრაინის მსგავსად, წარმომადგენლები კონფერენციაზე მეთვალყურის სტატუსით მაინც უნდა გაეგზავნა.

როდესაც უკრაინასთან ამიერკავკასიის პარალელს ვავლებთ, შემდეგი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული: 1) ოსმალეთისაგან, ზღვით ყირიმის 580 კილომეტრით დაცილება. ასეთი „ფუფუნების“ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ერები სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რასაც უკრაინასთან მიმართებაში დათმობდა ოსმალეთი, ხმელეთით მოსაზღვრე ამიერკავკასიასთან იმის მესამედ კომპრომისზედაც არ წავიდოდა; 2) იმ ეტაპზე უკრაინა დამოუკიდებელ და შედარებით მყარ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის ხელისუფლებას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში ერთიანი ხელვა გააჩნდა. მისგან განსხვავებით, ამიერკავკასია ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივად არშემდგარი კონგლომერატის სახეს ატარებდა. მისი მმართველი ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული პოლიტიკური ძალები, ტერიტორიების კუთვნილების გარკვევასთან დაკავშირებით, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან საერთო ნიადაგის პრინციპზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა.

არა თუ მეთვალყურის, არამედ ძირითად ფორმატშიაც რომ ყოფილიყო ამიერკავკასიის დელეგაცია წარდგენილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე, გერმანიის მხარე, ოსმალეთთან წინასწარ შეთანხმებულ და დაზუსტებულ სქემას არ შეცვლიდა. ჩვენი აზრით, გერმანიის მხრიდან ოსმალეთის ტერიტორიული პრეტენზიებისადმი მხარდაჭერა, ბრესტში ჩასულ ამიერკავკასიის დელეგაციას წამგებიან მდგომარეობაში ჩააყენებდა. მითუმეტეს, ტერიტორიების გადასანაწილებლად უკომპრომისო ბრძოლა უძლიერეს სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა. ამ ფონზე, ამიერკავკასიის დელეგაციას მხოლოდ „დამადასტურებლის უფლებებს“ დაუტოვებდნენ.

იმ დოკუმენტური მასალის მიხედვით, რომელიც თურქმა მკვლევარმა თუ-ლაი ღურანმა გამოაქვეყნა (ქართული თარგმანის პუბლიკაცია ეკუთვნის რ. ყავრელიშვილს) დასტურდება, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ კიულმანმა, ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს – ნესიმი ბეის, ოსმალეთის მხრიდან კავკასიის რეგიონში საპრეტენზიოდ ქცეული ტერიტორიების ოსმალეთისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით, ყოველმხრივი დახმარების წინასწარი პირობა მისცა. ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პირად საუბარში (1917 წლის 21 დეკემბერი), გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ კიულმანმა განაცხადა: „გაფართოების ტენდენცია ჩვენს ქვეყანაშია იგრძნობა და თუ თქვენ ამ ტერიტორიებს მიიერთებთ, ჩვენც კმაყოფილები დავრჩებით.“

რამდენადაც მცირე აზიაში ინგლისთან დამარცხებული ოსმალეთი, კონპენსაციის მიღებას ამიერკავკასიის ხარჯზე ცდილობდა, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე (ინგლის-ოსმალეთის გარიგების დაუშვებლობის გამო), გერმანიისათვის, ოსმალეთის პრეტენზიების დაკმაყოფილება მისაღები იყო. ამის აუცილებლობას თავის მოგონებებში ლუდენდორფიც\* ადასტურებდა. „ჩვენთვის (ოსმალთა) სურვილები – წერდა იგი – უმნიშვნელო იყო. მათი განხორციელება შეეფერებოდა ჩვენს სამოკავშირეო ურთიერთობასაც.“ აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ამიერკავკასიის დელეგაციის ბრესტში გაგზავნა, ფორმალური თვალსაზრისითაც კი, არანაირ შედეგს არ მოიტანდა. პირიქით, აღნიშნული ნაბიჯითა და ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, მთავრობასთან ერთად, 1918 წლის 17 თებრვლს გაკეთებული ოფიციალური განცხადებით, ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV და იმავე ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის მეორე მუხლი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული. ამიერკავკასიის სეიმი თვლიდა, რომ: 1) ამიერკავკასიის ერების ისტორიული ტერიტორიების ოსმალეთისადმი გადაცემა, კონფერენციის შესაბამისი სხდომის ოქმზე, ამ ერების ოფიციალური წარმომადგენლობის ხელმოწერადად განხორციელდა; 2) ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მხრიდან, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების არცნობის მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის საზავო დელეგაციამ ზემოაღნიშნული ტერიტორიების ოსმალეთისადმი გადაცემა მაინც ცალმხრივად მოახდინა; 3) ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტის საზავო ხელშეკრულება ოფიციალურად, შესაბამისი რეზოლუციით, იქნა უარყოფილი. „ამიერკავკასიის სეიმს მიაჩნია – ვკითხულობთ დოკუმენტში, – რომ ხელშეკრულება, რომელსაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის ნებადაურთველად ამიერკავკასიისა და მის საზღვრებს ეხება, საერთაშორისო მნიშვნელობასაა მოკლებული, ვინაიდან ამიერკავკასიის არასოდეს არ უცვნია ბოლშევიკების საბჭოთა მთავრობა.“ ეს დოკუმენტი, ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე ოფიციალურად ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე, საბჭოთა რუსეთის, გერმანიის, ოსმალეთისა და დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს დაეგზავნა; 4) 1918 წლის 13 ნოემბერს, საბჭოთა რუსეთმა ბრესტის საზავო ხელშეკრულება გააუქმა; ამავე დროს, საბჭოთა რუსეთმა, საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების IV მუხლით, რუსეთის ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შეძვეალ საქართველო-

ველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, საქართველოს ხელისუფლების სამართლებრივი უფლებამოსილება ოფიციალურად აღიარა. რაც მთავარია, ოსმალეთისადმი 1920 წლის 19 დეკემბერს გაგზავნილი ნოტის შესაბამისად, საბჭოთა რუსეთი, თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების ტექსტის, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებას მოითხოვდა. ამაზე, ოსმალეთის მხარემ ოფიციალური თანხმობა განაცხადა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV და დამატებითი ნაწილის II პარაგრაფი, ჩვენი მტკიცებით, საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა იდგა. ეს ოსმალეთის ხელისუფლებამაც კარგად იცოდა. ამიტომ იყო, საბჭოთა რუსეთის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას რომ დათანხმდა.

ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV და დამატებითი ნაწილის II პარაგრაფის სამართლებრივი ხარვეზი, ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული. ამის დადასტურებას გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია – „სამშვიდობო დელეგაცია“ წარმოადგენს. „ოსმალეთის მთავრობას, – ვკითხულობთ წერილში – ეჭვს გარეშეა, ბოლშევიკების მიერ ბრესტში მირთმეული ნობათი – ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების გადაცემა – ნაღდ თამასუქად არ მიუღია და ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიუჩნევია მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის სეიმმა გადაჭრით უარჰყო ბოლშევიკების უფლება ასეთი ნობათის მირთმევაზე... ამიტომ, იგი დასთანხმდა ამიერკავკასიის ხალხთან და მის უმაღლეს ორგანოსთან დამოუკიდებელი საზავო მოლაპარაკების გამართვას.“ ჩვენი აზრით, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ბრესტის საზავო ხელშეკრულების ფარგლებში სამართლებრივად დაკანონება მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, თუკი შესაბამის იურიდიულ დოკუმენტზე, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერა იქნებოდა და მას ქართველი ერის საკანონმდებლო ორგანო გაუკეთებდა რატიფიკაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ხელშეკრულება (ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV და დამატებითი ნაწილის II მუხლების მსგავსად) სამართლებრივ ნორმებს მიღმა აღმოჩნდებოდა.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიას, ბრესტის საზავო ხელშეკრულების ტექსტის IV მუხლი ეხებოდა. მასში გარკვევით იყო მითითებული, რომ „რუსეთი შეასრულებს ყოველივეს რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციების სასწრაფოდ გაწმენდა და ოსმალეთისათვის კანონიერის გზით დაბრუნება. არტაანის, ყარსისა და ბათუმის „ოკრუგები“ ასევე დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ „ოკრუგების“ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ დამოკიდებულებაში. ამ „ოკრუგების“ მოსახლეობას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ახალი წყობილება დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით.“

ამ დოკუმენტის მიხედვით, ოსმალეთისადმი მხოლოდ ანატოლიის აღმოსავლეთი პროვინციების დაბრუნებაზეა აქცენტი გაკეთებული. რაც შეეხება ყარ-

სის, არტაანისა და ბათუმის „ოკრუგებს“, რუსეთის ჯარისაგან გაწმენდის შემდეგ, მის მოსახლეობას, ოსმალეთთან შეთანხმებით, თავიანთი ბედი რეფერენდუმით უნდა გადაეწყვიტა. იმავე მუხლში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რომელი ნეიტრალური სახელმწიფო გაუწევდა მონიტორინგს რეფერენდუმის სამართლებრივად ჩატარებას. ეს ხარვეზი, ოსმალეთის ხელისუფლებას თვითნებური მოქმედებისა და პრობლემის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის რეალურ შესაძლებლობას აძლევდა.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ, „ოკრუგების“ ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში ართვინის, ოლთისისა და კალიზმანის „ოკრუგები“ არ ფიგურირებს. არადა, 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემავალი ამიერკავკასიის რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დანაწილების მიხედვით, ყარსის, არტაანისა და ბათუმის „ოკრუგების“ მსგავსად, ართვინის, ოლთისისა და კალიზმანის „ოკრუგებიც“ ცალკე ადმინისტრაციული ერთეულები იყო. ხელშეკრულების ტექსტის მიხედვით რუსული „ოკრუგი“ და თურქული „სანჯაყი“, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეცდომით ოლქის ფორმითაა თარგმნილი, რის გამოც, ნებისთ თუ უნებლიედ ყარსის ოლქში (ვილაიეთში) შემავალი არტაანის „ოკრუგი“, არტაანის ოლქად იქნა გამოცხადებული. არადა, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი „ოკრუგი“, არა სამ, არამედ ორ ადმინისტრაციულ ოლქს ქმნიდა: ბათუმის ოლქი – (ბათუმისა და ართვინის „ოკრუგები“); ყარსის ოლქი – (ყარსის, არტაანის, ოლთისის, კალიზმანის „ოკრუგები“). რაც შეეხება იმას, თუ რით იყო განპირობებული ართვინის, ოლთისისა და კალიზმანის „ოკრუგების“ ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV მუხლში მოუხსენიებლობა, ჯერჯერობით აუხსნელი რჩება. სავარაუდოა, რომ ბრესტის საზავო ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები და თვით ოსმალეთიც, ართვინის, ოლთისისა და კალიზმანის „ოკრუგებს“ სადაო ტერიტორიად არ მოიაზრებდნენ. აქედან გამომდინარე, რეფერენდუმის გზით, არჩევანის გაკეთების უფლება, აღნიშნული „ოკრუგების“ მოსახლეობას არ ეძლეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბათუმი და ყარსი, ხელშეკრულების IV მუხლში, არა „ოკრუგების“ (თურქულ ტექსტში სანჯაყის), არამედ „ობლასტის“ (თურქულ ტექსტში ვილაიეთის) ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი.

ხელშეკრულების ძირითად ტექსტში მოტანილი ადმინისტრაციული ერთეულის – „ოკრუგის“ არასწორი ქართული თარგმანიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიებს, ერთი შეხედვით, თითქოს საქართველოდან ჩამოცილების რეალური საფრთხე არ ემუქრებოდა. ეს გარემოება ქონდა მხედველობაში მ. სვანიძეს როდესაც დასძენდა: „არ არის მართებული, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ეს სამი სანჯაყი (ყარსი, არტაანი და ბათუმი), თურქეთს გადაეცა.“ მ. სვანიძე სავსებით მართალი იქნებოდა, რომ არ არსებულყო იმავე ხელშეკრულების დამატებითი მუხლები, რომლებიც იმ ეტაპზე ქართული სახელმწიფო მოღვაწეებისთვისაც უცნობი იყო და ტერიტორიულ საკითხს სხვაგვარად წყვეტდა. მხედველობაში გვაქვს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დამატებითი ნაწილის მეორე პარაგრაფი. იგი რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის აღდგენას, 1877–1878 წლების ომამდელი მდგომარეობით

ითვალისწინებდა. „მხარეები ამ შეთანხმების რატიფიკაციიდან სამი თვის განმავლობაში – ვკითხულობთ ხელშეკრულების ტექსტში – შექმნიან რუსეთ-თურქულ ორ კომისიას. პირველი კომისიის ამოცანაა აღადგინოს რუსეთისა და თურქეთის სასაზღვრო ხაზი, სადაც ერთდება რუსეთის, თურქეთისა და სპარსეთის სამი სანჯაყის საზღვარი იქამდე, სადაც სასაზღვრო ხაზი მიდის სამი სანჯაყის: ყარსის, არდაგანისა და ბათუმის საზღვრამდე. ამ ზოლში კომისია იხელმძღვანელებს სასაზღვრო ხაზით, რომელიც ომამდე არსებობდა. საომარი მოქმედების დროს მოშლილი სასაზღვრო ნიშნები აღდგება და გასწორდება 1880 წელს შედგენილი სადემარკაციო რუკებისა და ოქმების მიხედვით. მეორე კომისია დაადგენს რუსეთის საზღვარს და სამი სანჯაყის საზღვრებს, რომელთა ევაკუაცია უნდა მოახდინოს რუსეთმა კოლექტიური თანხმობის მეოთხე მუხლის მიხედვით. საზღვარი იქ აღდგენილი იქნება იმ სახით, როგორც არსებობდა 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე.“

ამ დოკუმენტის მიხედვით, კარგად ჩანს, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წლების ომამდე არსებული სასაზღვრო ხაზის აღდგენიდან გამომდინარე, ყარსისა და ბათუმის ოლქები ამიერკავკასიის შემადგენლობაში არ რჩებოდა, მასზე დაპატრონების „სამართლებრივ უფლებას“ ოსმალეთი ინარჩუნებდა. ამ ფაქტს, ამიერკავკასიის მთავრობისადმი 1918 წლის 3 მაისს გაგზავნილ დეპეშაში ვეხიბ ფაშა საგანგებოდ უსვამდა ხაზს. „ის ტერიტორია, რომელიც ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ოზურგეთის რაიონში და რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების საზღვარს აქეთ მხარეს მდებარეობს, დაცლილი იქნება და დაუბრუნდება ამიერკავკასიის მთავრობას.“ აქ გარკვევითაა მინიშნებული, რომ ოსმალეთი მხოლოდ იმ ტერიტორიებს დაცლიდა, რომელიც 1877–1878 წლების ომამდელ საზღვრებსა და ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სცილდებოდა.

ასეთ პირობებში, ხელშეკრულების IV მუხლი ზემოაღნიშნული ექვსი „ოკრუგიდან“ მხოლოდ სამს – ყარსის, არდაგანისა და ბათუმის „ოკრუგების“ მოსახლეობას აძლევდა არჩევანის გაკეთების, ანუ რეფერენდუმის გზით საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას. „ამ ოკრუგების მოსახლეობას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ახალი წყობილება დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან შეთანხმებით“ – ვკითხულობთ დოკუმენტში.

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ოკრუგების (სანჯაყების) თვითგამორკვევის უფლებების განსაზღვრა, იმავე ოსმალეთის ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენდა. მასვე უნდა გადაეწყვიტა, მისცემდა თუ არა ავტონომიის სტატუსს ყარსის, არტაანისა და ბათუმის „ოკრუგებს“ (სანჯაყებს), ან როგორ სახეს მიიღებდა ეს ავტონომია – ადმინისტრაციულს, თუ პოლიტიკურს. მეორე მხრივ, გაურკვეველი რჩებოდა ამ სამი „ოკრუგის“ (სანჯაყის) სავარაუდო ავტონომია, ერთი ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულის (ოლქის – ვილაიეთის), თუ ერთმანეთისაგან განცალკევებული დამოუკიდებელი „ოკრუგების“ (სანჯაყების) სახეს მიიღებდა.

რამდენადაც ბრესტის საზავო ხელშეკრულების დამატებითი ნაწილი ქართული პოლიტიკური ელიტისათვის უცნობი იყო, აღნიშნული საკითხები, მის



ყურადღების ცენტრში ვერ მოექცა. მიუხედავად ამისა, არაოფიციალურად მიღებულ ინფორმაციაზე და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზზე დაყრდნობით, ისინი სწორ დასკვნებს აკეთებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ს. ფირცხალავას\* სტატია „ჩვენი ერის ბედი“ იქცევს. მასში ავტორი საზოგადოებას შეახსენებდა ოსმალეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ იმ ძალადობრივ ქმედებებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერისათვის გამოუსწორებელი ზიანის მომტანი აღმოჩნდა. მისი სამართლიანი მტკიცებით, რამდენადაც ბათუმის ოლქი ქართული სახელმწიფოებრიობის გულს და მის გასაღებს წარმოადგენდა, ამ სტრატეგიული რეგიონის დაკარგვა საქართველოს ხელოვნურ სიკვდილს გავდა. „ბათუმის ოლქის გაჩუქება – წერდა ს. ფირცხალავა – ეს მთელი საქართველოს გაჩუქებაა, ეს მთელი საქართველოს ბედის გადაწყვეტაა, ეს მთელი ქართველი ერის დაღუპვაა. ბათუმის მხარეს მოწყვეტილი ჩვენი ქვეყანა მუდამ კარდახშული, დაკოდილი, გამომხრჩვალ იქნება და ვერასოდეს ასწევს თავს ზევით, ვერასოდეს გაიმართება წელში.“ მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დაღწევის მიზნით, ს. ფირცხალავა კატეგორიული ფორმით აცხადებდა: „დღევანდელი მდგომარეობა ერთს რასმეს გვიკარნახებს, ერთს პასუხს მოელის ჩვენგან. თავი უნდა დავიცვათ, რათა სამუდამოთ არ დაიღუპოს საქართველო, მთელი ერი უნდა აღსდგეს ვით ერთი კაცი თავისი უფლებების დასაცავად.“

იმ პერიოდის მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ ბოლშევიკური მიმდინარეობის გარდა, საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია და მისი პოლიტიკური სპექტრი ერთ პოზიციაზე იდგა. მათი ფიქრისა და განსჯის საგანს საქართველოს გადარჩენა და მისი ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნება წარმოადგენდა. ამის ერთ-ერთ ნიმუშს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული მოწინავე სტატია „ამიერკავკასიის ბედი“ წარმოადგენს. „ამიერკავკასიის ბედი – ვკითხულობთ წერილში – ბოლშევიკმა ავანტიურისტებმა ერთის დაკვრით გადაწყვიტეს... ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების („ოკრუგების“, შ.ვ.) ოსმალეთისადმი გადაცემით, ამიერკავკასიის არსებობას, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას აღმოსავლეთის დესპოტიზმის რკინის სალტეები ერტყმება... თვით დამარცხებული და დასუსტებული ოსმალეთიც კი სრულიად გამარჯვებული გამოვიდა და ბოლშევიკების საზავო პოლიტიკის მეოხებით აღმოსავლეთისაკენ 1877 წლის საზღვრების აღდგენას აპირებს. უკანასკნელი გარემოება კი ოსმალეთის მთავრობას საშუალებას მისცემს კავკასიის ქედამდის თავისი დროშა ააფრიალოს.“

აღნიშნული ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს გაცნობიერებული ქონდათ ის მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ბრესტის საზავო ხელშეკრულების წინასწარი შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს, ტერიტორიების დაკარგვითა და ამიერკავკასიაში ოსმალეთის გაბატონებით ემუქრებოდა. ამ შემთხვევაში, ისინი საკითხს ფართო ჭრილში განიხილავდნენ და საზოგადოებას შეახსენებდნენ, რომ ისტორიულ ტერიტორიებთან ერთად, საქართველო მისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ რეგიონს კარგავდა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „ერთობა“ მოწ-

ინავე სტატიაში, „ბოლშევიკების ღალატი“ კონკრეტულად სვამდა კითხვას, თუ რას მოასწავებდა ბათუმ-ყარსის დაკარგვა და შესაბამის პასუხს იქვე იძლეოდა: „ვინც ყარსს ფლობს – ვკითხულობთ წერილში, – ის ფაქტიურად ამიერკავკასიის ბატონი იქნება. ყარსი მთელი ჩვენი ქვეყნის გასაღებია, მისი დაკარგვა, ამიერკავკასიის საბოლოო დამონებას მოასწავებს. მით უფრო უნდა ითქვას ეს ბათუმის შესახებ. ის არა თუ კარია ამიერკავკასიის, რომელიც მას დასავლეთ ევროპასთან აერთებს, ბათუმი ჩვენი ეკონომიური განვითარების საფუძველია. ჩამოაცილებთ ამიერკავკასიას ბათუმი და ის ფაქტიურათ შავ ზღვას მოსწყდება... ბათუმი ჩვენი ეკონომიური აღორძინების მთავარი ფაქტორია... ბოლშევიკების ღალატმა ამიერკავკასიის დემოკრატიის წინაშე ასეთი დილემა დააყენა: ის ან უნდა შეურიგდეს თავის პოლიტიკურ სიკვდილს და ბათუმ-ყარსი ოსმალეთს გადასცეს, არადა მოშორდეს იმ სახელმწიფოს, რომლის სათავეში ავანტიურისტები წამოსკუპებულან და დემოკრატიის ინტერესებს თავისი ჯგუფური მოსაზრებით ყიდიან.“

როგორც ვხედავთ, ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ამიერკავკასიის სიკვდილის ტოლფას ქმედებადაა შეფასებული, მეორე მხრივ, პრინციპულადაა დასმული საკითხი რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილების შესახებ. შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას საჭიროებდა. როგორც რ. ინგილო (ივნიცკე) წერდა, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფალთა ქმედება ამიერკავკასიასთან მიმართებაში, ქართველ ერში „ზიზღის მეტს არაფერს იწვევდა.“

ჩვენს მიერ მოტანილი მასალების ანალიზით დასტურდება: 1) პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხებისა და გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, „ოთხთა კავშირის“ სახელმწიფოთა მიზანს, შავი და ბალტიის ზღვებიდან რუსეთის მოწყვეტა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოქცევა წარმოადგენდა. რამდენადაც, ამ ჩანაფიქრის განხორციელების ხელშეწყობის ფაქტორად ამიერკავკასიაც იყო მოაზრებული, დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, გერმანიის ხელისუფლება ამ რეგიონის ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით გაერთიანების საკითხს 1917 წლის დეკემბრამდე აყენებდა. პოლიტიკური პროცესების ცვალებადობამ და აღმოსავლური პოლიტიკის გატარებისაკენ სწრაფვამ, გერმანიის პოლიტიკური ელიტა რუსეთ-ოსმალეთს შორის სამომავლოდ ამიერკავკასიის ბუფერული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა. გერმანიის მხრიდან ამიერკავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული დაინტერესება, ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა კარგად დაინახეს და გერმანიის კავკასიური პოლიტიკისადმი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაკავშირების მექანიზმის ძიების საკითხი დააყენეს; 2) პოლიტიკური წრეების მიერ აღიარებული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწყვეტისა და ზავთან მიმართებაში მოსალოდნელი გადაწყვეტილებისადმი ლოდინი აშკარა შეცდომა იყო. განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ: ა) რეგიონში და მის გარშემო განვითარებული პოლიტიკური პროცესები, ამიერკავკასიის

ხელისუფლებისაგან ოპერატიულად გაბედულ ნაბიჯებს მოითხოვდა; ბ) სრულყოფილად ვერ იქნა გაანალიზებული ოსმალეთ-ამიერკავკასიის ფრონტზე შექმნილი ურთულესი ვითარება, რუსული საჯარისო შენაერთების მიერ ფრონტის მასობრივად მიტოვება და ადგილობრივი კონტიგენტით მისი დაუყოვნებლივ ჩანაცვლების შეუძლებლობა. 3) ვერ მოხდა ვენის ფაშას მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი მიწოდებული ინფორმაციის ყოველმხრივი ანალიზი. ჯერჯერობით დოკუმენტური მასალით ვერ დასტურდება, რომ „ოთხთა კავშირი“ იმ ეტაპზე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებას ისახავდა მიზნად და ამგვარად, დელეგაციის ბრესტში მიწვევა მხოლოდ ფორმალობა იყო; 4) საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმის სტენოგრაფიული ანგარიშების მიხედვით ჩანს, რომ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ბრესტში გაგზავნის საკითხი თავის დროზე არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არ დასმულა. ამდენად, შემდგომ ეტაპზე განვითარებული მძიმე მოვლენების მხოლოდ სოციალ-დემოკრატებზე გადაბრალება არასწორად მიგვაჩნია. თუკი მართლაც შეცდომა იქნა დაშვებული, იგი საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმის შემადგენელ ყველა პოლიტიკურ ძალაზე უნდა გადანაწილდეს; 5) ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV მუხლი და დამატებითი ნაწილის II პარაგრაფი, საერთაშორისო სამართლის ნორმებში არ თავსდებოდა რადგან: ა) ამიერკავკასიის ისტორიული ტერიტორიების ოსმალეთისადმი გადაცემა, კონფერენციის შესაბამისი სხდომის ოქმზე ამ ერების ოფიციალური წარმომადგენლობის ხელმოწერლად განხორციელდა; ბ) ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მხრიდან საბჭოთა რუსეთის ოფიციალურად არცნობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ტერიტორიების ოსმალეთისადმი გადაცემა ცალმხრივად მოახდინა; გ) ბრესტის საზავო ხელშეკრულება ამიერკავკასიის სეიმის მიერ შესაბამისი ოფიციალური რეზოლუციით დროულად იქნა უარყოფილი; დ) ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღნიშნული ხარვეზების შევსებას ისახავდა მიზნად, ძალმომრეობის საფუძველზე ბათუმში დადებული ხელშეკრულება და ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან მისი სასწრაფოდ რატიფიკაციის კატეგორიული ტონით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსადმი რამდენჯერმე შეხსენება.

## X X X

ამიერკავკასიაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია, რომლის საფუძველს ბრესტის საზავო ხელშეკრულება წარმოადგენდა, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა წინაშე, რეგიონის გადარჩენის მიზნით, შესაბამისი გზების ძიების საკითხს აყენებდა. ერთადერთ გამოსავლად, იმ ეტაპზე, ოსმალეთთან საერთო ენის გამოძებნა და ზავის მიღწევა იქნა მიჩნეული. ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯის გადადგმა უდიდეს სირთულეებს უკავშირდებოდა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ბრესტის საზავო ხელშეკრულების პი-

რობებით გათამამებული ოსმალეთის ხელისუფლების პოზიცია. აღნიშნული ხელშეკრულებით, რამდენადაც ოსმალეთი გამარჯვებული სახელმწიფოს როლში წარმოჩინდა, პოლიტიკური პროცესების მისთვის ხელსაყრელი ფორმით განვითარებამ, რაიმე კომპრომისზე წასვლა მისგან ნაკლებად სავარაუდო გახდა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ხელისუფლებამ უპირატესობა ოსმალეთთან პირდაპირ მოლაპარაკებას მიანიჭა, რადგან მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზიების მინიმუმამდე დაყვანის გარკვეული იმედი გააჩნდა. ეს თვალსაზრისი, მეტ-ნაკლები სისრულით, იმ პერიოდში გამოქვეყნებულ საგაზეთო პუბლიკაციებშიც აისახა. მხედველობაში გვაქვს არჩ. ჯაჯანაშვილის საგაზეთო სტატია, „ზავი ოსმალეთთან.“ არჩ. ჯაჯანაშვილის აზრით, თუკი ოსმალეთის საზავო პირობები ამიერკავკასიის ხელისუფლებისათვის მისაღები აღმოჩნდებოდა, ამიერკავკასიას მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქვეყნის სააღმშენებლო საქმიანობის დაწყების შესაძლებლობა მიეცემოდა. პრობლემის ამ სახით გადაწყვეტა, ამიერკავკასიას რუსეთს ჩამოაშორებდა და ნეიტრალიტეტის გამოცხადების შესაძლებლობას მისცემდა. იმ შემთხვევაში, თუკი თავისუფლების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, არჩ. ჯაჯანაშვილის აზრით, ნეიტრალიტეტი იარაღის ძალით უნდა დაეცვათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იძულებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიას, უპირატესობა ე. წ. „შეიარაღებული ნეიტრალიტეტისათვის“ მიეცა.

ამიერკავკასიის გარშემო შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და მისი საომარ მდგომარეობაში ყოფნა, ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წინაშე პრინციპულად სვამდა კითხვას: ამ ერების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი შესაბამისი კურსის გატარების შესაძლებლობას იძლეოდა თუ არა. მართალია, ეს მნიშვნელოვანი საკითხი არჩ. ჯაჯანაშვილმა უპასუხოდ დატოვა, მაგრამ, იმავდროულად საზავო მოლაპარაკების ხელაღებით უარყოფა პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნია. „ხელაღებით საზავო მოლაპარაკების გამართვაზე უარის თქმა – აცხადებდა იგი – მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც არავითარ ანგარიშს არ უწევს ამ ობიექტურ პირობებს. მაგრამ არც ასე ადვილია საზავო მოლაპარაკების გამართვა. ამისათვის საჭიროა დაცული იყოს ზოგიერთი პირობა. თუ ეს პირობები დაცული არ იქნება,... საზავო მოლაპარაკება ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა დიდი ხნის სურვილს ვერ მიაღწევს.“ აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შესაძლებლობები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. მეორე მხრივ, იგი იმაზედაც მიანიშნებდა, რომ პოლიტიკური შეცდომების დაშვების შემთხვევაში, ამიერკავკასია და მათ შორის საქართველო, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეას დიდი ხნით უნდა გამომშვიდობებოდა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს არჩ. ჯაჯანაშვილი ოსმალეთთან სეპარატულ ზავში და ამიერკავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებაში ხედავდა. თუმცა, არჩ. ჯაჯანაშვილი არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა ასეთი ზავი და მისი შედეგები ამიერკავკასიისათვის და ამ მი-

მართულებით ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველო.

თუკი სეპარატული ზავის გარდა, იმ ეტაპზე სხვა გამოსავალი მართლაც არ არსებობდა, ნაბიჯი დროულად უნდა გადადგმულიყო და პასუხისმგებლობაც ამიერკავკასიის კომისარიატს, ან ადგილობრივ დამფუძნებელ კრებას თავის თავზე უნდა აეღო. ეს საკითხი მაშინდელი ქართული ინტელიგენციის მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას მ. ადამაშვილის (მიხეილ ჯავახიშვილი) სტატია – „ზავი ოსმალეთთან“ იქცევს. „თუ დღეს ოსმალეთი ზავსა გვთხოვს, – კვითხულობთ წერილში – ორი თვის შემდეგ, როცა ფრონტზე გზები გაიხსნება, იგი ზავის პირობებს შეცვლის და გვიკარნახებს. თუ სეპარატული ზავი, ჩვენის მხრით, ყოველად აუცილებელია, ამ ზავს წონა და ფასი მაინც უნდა მივცეთ: იგი უნდა შეიკრას ერთად ოსმალეთთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან.“ ანალოგიური თვალსაზრისი იყო გამოთქმული გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაში – „ორ ფრონტზე მუშაობა.“ აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია გასათვალისწინებელი; კერძოდ, საზავო მოლაპარაკებაში ცენტრალური სახელმწიფოების ჩართვის პარალელურად, აღნიშნული სტატია კარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ იარაღით დახვედრის აუცილებლობას პრინციპულად აყენებდა. „ამ ორ ფრონტზე მუშაობა – კვითხულობთ წერილში – ენერგიულად უნდა ვაწარმოვოთ და იგი იხსნის ამიერკავკასიის მცხოვრებთ საზოგადო დარუპვისა და განადგურებისაგან.“ მართალია, ეს თვალსაზრისი იმ ეტაპზე შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარეობდა, მაგრამ ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელება, უპერსპექტივო ჩანდა. სწორი იყო გაზეთ „ერთობის“ პოზიცია, მოწინავე სტატიაში – „საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან“, სეპარატული ზავის მიღებას იძულებითი ფაქტორებით რომ ხსნიდა. იმავდროულად გაზეთი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ თუკი ოსმალეთთან დემოკრატიული ზავის მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი, იგი ამიერკავკასიის ერების ფიზიკურად დალუპვისაგან გადარჩენის ერთ-ერთი გარანტი იქნებოდა.

შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და ამიერკავკასიის ერების რეალური საფრთხის წინაშე დაყენებამ, ამიერკავკასია ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დამოუკიდებლად დაწყების აუცილებლობამდე მიიყვანა. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 1 თებერვლის სხდომის მიერ „ოსმალეთთან ზავის შესახებ“ მიღებული დადგენილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით: 1) საზავო მოლაპარაკების ძირითადი დირექტივები და ზავის პირობები ამიერკავკასიის კომისარიატს უნდა შეემუშავებინა; 2) მასვე უნდა აერჩია შესაბამისი კომისია, რომელიც ზავის პირობების გარკვევის პარალელურად აღნიშნულ საკითხზე მოხსენებისათვის საჭირო მასალებს შეკრებდა და ოსმალეთს ამიერკავკასიის კომისარიატის პასუხს შეატყობინებდა; 3) ოსმალეთის წარმომადგენლობასთან წინასწარი შეთანხმებით, ამიერკავკასიის კომისარიატს საზავო დელეგაციის შემადგენლობა, მოლაპარაკების ადგილი და დრო უნდა დაეზუსტებინა. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, ერზერუმში გაგზავნილი დეპეშით, ე. გეგეჭკორი გენერალ ოდიშელიძეს სთხოვდა, ვეხიბ ფაშა-

სათვის გადაეცა: „ამიერკავკასიის მთავრობა მზად არის შეუდგეს საზავო მოლაპარაკებას. ძირითად დირექტივებს და ზავის პირობებს შეიმუშავებს ამიერკავკასიის სეიმი, როგორც მთელი ამიერკავკასიის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შეიკრიბება 10 თებერვალს. ამიერკავკასიის მთავრობას სურს მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება ჰქონდეს ოსმალეთთან და იმედი გვაქვს ჩქარა დავასრულებთ სამშვიდობო მოლაპარაკებას, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული იქნას.“ აქ გარკვევითაა მითითებული: 1) ამიერკავკასიის მთავრობა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ მზადყოფნას გამოთქვამდა; 2) ოსმალეთის წარმომადგენლობასთან ზავის საკითხთან მიმართებაში წარმოქმნილ დისკუსიაში აქტიური მონაწილეობის მიღება მას შემდეგ მოხდებოდა, როცა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანო – სეიმი საზავო დელეგაციის მოქმედების ძირითად დირექტივებსა და ზავის პირობებს შეიმუშავებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერკავკასიის მთავრობას იმ ეტაპზე მოქმედების ერთიანი სტრატეგია ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 13 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში წარმოადგენს. ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ სეიმის მონაწილე პოლიტიკური პარტიებიდან, ამიერკავკასიის მთავრობის პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის საჭირო დებულებების შეიმუშავების მიზნით, ყველაზე მეტ აქტიურობას ქართველი სოციალ-დემოკრატები იჩენდნენ. რეგიონის საგარეო პოლიტიკა ძირითადად სეიმისადმი მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნებს ემყარებოდა. ამ თვალსაზრისით, ამიერკავკასიის სეიმის ზემოაღნიშნული სხდომაც ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, ზავის საკითხზე მოხსენება ე. გეგეჭკორმა გააკეთა. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ე. გეგეჭკორი ოსმალეთთან ზავის დადების გარკვეულ შემაფერხებელ საფრთხეს არ გამორიცხავდა და სეიმის მონაწილეებს პრობლემის დაუყოვნებლივი გადაწყვეტისკენ მოუწოდებდა. „ეს საკითხი – ამბობდა ე. გეგეჭკორი – ფრიად საჩქაროა, რადგან ცნობები მივიღეთ რომ შესაძლებელია ფრონტზე შეტაკება მოხდეს.“ ამ ინფორმაციას იგი შესაბამისი ფაქტებით ადასტურებდა. იმავე პოზიციაზე იღვა ნ. ჟორდანიაც. „ზავის საკითხი – ამბობდა იგი – სასწრაფოა და ის უნდა გადაწყვიტოს უპირველეს ყოვლისა სეიმმა.“

ეს პოზიცია, სეიმის მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისთვის მისაღები აღმოჩნდა. მათივე მხარდაჭერით, ოსმალეთთან საზავო პირობების მოსამზადებლად სეიმის იმავე სხდომამ საგანგებო კომისია აირჩია. თუ რა ფორმით უნდა წარემართათ ამ მიმართულებით მუშაობა, ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“ მოწინავე წერილში – „ზავი ოსმალეთთან“, ქართული სოციალ-დემოკრატიის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებდა: „ამიერკავკასიის რევოლუციური დემოკრატია, რომლის წარმომადგენლები სეიმის წევრთა შორის დიდ როლს თამაშობენ, ეცდება მიიღოს დემოკრატიული ზავის პირობები, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლუციამ წამოაყენა. უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული ამიერკავკასიის რევოლუციონური კლასების მთავარი მოთხოვნაა... ის საბედისწერო ზავი, რო-

მელიც ლენინ-ტროცკის პარტიამ გერმანიის იმპერიალისტებთან შეკრა, გაორკეცებით გვაგალებს, ასეთი ზავი ოსმალეთის მთავრობასთან არ ჩამოვაგდოთ, რათა ამიერკავკასიას ავაცდინოთ რუსეთის ბედი.“ ეს ამონაწერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გერმანიის მოკავშირეებსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული დროებითი საზავო შეთანხმების პირობები, ამიერკავკასიის მმართველი პოლიტიკური წრეებისათვის მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე, ისინი მხოლოდ რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ თავის დროზე წამოყენებული მოთხოვნის – უანექსიო და უკონტრიბუციო საზავო პირობების დაცვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მეორე მხრივ, მათ წინაშე პრინციპულად იყო დასმული კითხვა, რა ტერიტორიული საზღვრების მოთხოვნით უნდა შემოფარგლულიყო ამიერკავკასიის დელეგაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 16 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში იქცევს. როგორც ლოკუმენტიდან ირკვევა, საზავო პირობების შემქმნაველები საგანგებო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ მოხსენებით ამ კომისიის თავმჯდომარე – ნ. რამიშვილი გამოვიდა. მან სეიმის სხდომას კომისიის მიერ მიღებული დასკვნა გააცნო, რომლის მიხედვითაც ოსმალეთთან მუდმივი საზავო ხელშეკრულების დადება აუცილებლობად იყო მიჩნეული. „ასეთი ზავი – ამბობდა ნ. რამიშვილი – სასარგებლოა ჩვენთვისაც და ოსმალეთისთვისაც... თუ ის... კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებითაა დაინტერესებული, მაშინ დაიდება ჩვენს შორის საბოლოო ზავი.“ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ამოსავალ საფუძველად, ნ. რამიშვილი რუსეთ-ოსმალეთს შორის 1914 წლამდე არსებულ საზღვრებს მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით, იგი ხაზგასმით მიუთითებდა: ოსმალეთი უნდა „აღდგეს 1914 წლის საზღვრებში, ეს ერთადერთი გამოსავალია რომელსაც ჩვენ დავიცავთ, რათა უზრუნველყოთ მშვიდობიანი განვითარება... ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ზავი ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით და დელეგაციას, რომელსაც აქედან გავგზავნით, სრული უფლება ექნება მოითხოვოს აღმოსავლეთ ანატოლიის ყველა ერისთვის თვითგამორკვევის უფლება, რადგან ეს ერები ათეული წლობით ელოდნენ განთავისუფლებას.“ აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ რუსეთსა და „ოთხთა კავშირს“ შორის წინასწარ შეთანხმებული საზავო ხელშეკრულების პირობები ამიერკავკასიის ერებისათვის მიუღებელი იყო. თუ რა ფორმატში უნდა ემოქმედა საზავო მოლაპარაკებისათვის გასაგზავნ დელეგაციას, ამის შესახებ ამიერკავკასიის სეიმის წევრებს კომისიის სახელით ნ. რამიშვილი შემდეგი სახის პროექტს სთავაზობდა: 1) ამიერკავკასიის სეიმი უფლებამოსილი იყო ოსმალეთთან მუდმივი ზავი დაედო; 2) ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის სახელმწიფო საზღვარი უნდა დადებოდა საფუძველად; 3) დელეგაციას, აღმოსავლეთ ანატოლიის ერებისათვის თვითგამორკვევის უფლება, კერძოდ, ოსმალეთის შემადგენლობაში „ოსმალეთის სომხეთისათვის“ ავტონომია უნდა მოეთხოვა. ამ პროექტის მესამე მუხლის შესწორება გ. გვაზავამ შემდეგი ფორმულირებით მოითხოვა: „ოსმალეთის სომხეთს და ოსმალეთის საქართველოს (ლაზისტანს) მიეცეს ავტონომია.“ ამ საკითხთან დაკავშირებით, ნ. რამიშვილმა მას უპასუხა:

„ამ შესწორების შეტანის წინააღმდეგნი ვართ არა პრინციპული მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ თვით ლაზებისგან ამის შესახებ დასტური არ მიგვიღია.“ მიუხედავად ამისა, როგორც ნ. რამიშვილი ამბობდა, „ლაზისტანის შესახებაც იყო ლაპარაკი კომისიაში და დელეგაცია სხვა ერთა ბედის მოწესრიგების დროს აღძრავს აგრეთვე საკითხს ლაზისტანის შესახებაც.“ ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ საზავო დელეგაციის მხრიდან ოსმალეთის შემადგენლობაში ლაზების ავტონომიის მოთხოვნის ოფიციალურად დასმა შეუძლებელი ხდებოდა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ამის შესახებ ლაზებისგან ამიერკავკასიის მთავრობისადმი წარდგენილი ოფიციალური მოთხოვნა არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თუკი ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია ოსმალეთის წარმომადგენლობის წინაშე საკითხს ოფიციალური მოთხოვნის ფორმით დააყენებდა, ოსმალეთის მხარეს, ასეთი ქმედება მის შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევად შეეძლო გამოეცხადებინა. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა გ. გვაზავამ, ლაზისტანის ავტონომიასთან მიმართებაში, მისეული ვარიანტი რომ მოხსნა.

რაც შეეხება საზავო დელეგაციის წევრთა მოქმედების შესახებ, ნ. რამიშვილის მიერ, კომისიის სახელით წარდგენილი პროექტის დებულებებს, სეიმის იმავე სხდომამ ისინი უცვლელად დაამტკიცა. აღნიშნული პროექტი საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 19 თებერვლის სხდომაზედაც იქნა განხილული და ქართული საკანონმდებლო ორგანოს წევრთა ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მოწონებულ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით მოქმედებდა ტრაპიზონში ჩასული ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია.

ზემოაღნიშნული 4 პუნქტიანი დოკუმენტი, მისი დამტკიცებიდან მხოლოდ თვენახევრის შემდეგ გახდა კრიტიკის საგანი. მხედველობაში გვაქვს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის რ. ინგილოს პუბლიკაცია – „საზავო დელეგაციის მოხსენების გამო.“ „დიპლომატიურ მოლაპარაკებას – ვკითხულობთ წერილში – აქვს, ასე ვთქვათ, ელასტური თვისება, ამიტომ შეუძლებელია წინდაწინვე პუნქტებით განისაზღვროს რწმუნებულთა კომპენტენცია. მით უმეტეს, მიენდოს მათ შესასრულებლად ვალდებულებანი კატეგორიული ხასიათისა, როგორც ეს ჩაიდინა სეიმმა 16 თებერვლის სხდომაზე, როდესაც შეიმუშავა ოტომანის (ე. ი. ოსმალეთის, შ.ვ.) დიპლომატებისადმი წარსადგენად ეგრეთ წოდებული ოთხპუნქტიანი ფორმულა.“ ასეთი სახის კრიტიკული პოზიციის ოფიციალურად დაფიქსირება სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ იმ მომენტში, როცა ზემოაღნიშნული დოკუმენტის სეიმისა და ეროვნული საბჭოს სხდომებზე მიღების საკითხი წყდებოდა. სამწუხაროდ, დოკუმენტის კრიტიკა მას შემდეგ გაისმა, რაც ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე მანვერ იმუშავა და მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, ამიერკავკასიის დელეგაციის სულ სხვა ფორმატში მოქმედების აუცილებლობის საკითხი დააყენა.

რაც შეეხება საზავო დელეგაციის სახელმძღვანელო რეგლამენტს, იგი ნ. რამიშვილმა ამიერკავკასიის სეიმის 17 თებერვლის სხდომას გააცნო. ეს დოკუმენტი დელეგაციის შემადგენლობას ავალებდა: „1) დელეგაცია მოქმედებს



(როგორც, შ.ვ.) ერთი მთლიანი ორგანიზმი თავისი თავმჯდომარის საშუალებით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ცალკე რწმუნებული პირის შუამავლობით. რაიმე სეპარატული გამოსვლა დაუშვებელია; 2) ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, დელეგაცია სეიმს დაწვრილებით აცნობს მოლაპარაკების მსვლელობას და სეიმისგან ითხოვს წინასწარ სახელმძღვანელო მითითებებს.“ როგორც ვხედავთ, აღნიშნული რეგლამენტი დელეგაციის წევრებს შეთანხმებულად მოქმედებას და ყოველგვარი სახის სეპარატული გამოსვლისაგან თავშეკავების აუცილებლობას ავალბდა. საზავო მოლაპარაკების პროცესში ამ მოთხოვნების დაცვის მნიშვნელობის შესახებ იგივე ნ. რამიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა: „რა ძალა იქნება ის ძალა, რომელსაც დაეყრდნობა ჩვენი დელეგაცია?... ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის ერთი უძლეველი ძალა, რომელსაც ჰქვიათ ხალხთა ერთობა და რომელსაც ჩვენ დავეყრდნობით... თუ ჩვენ აქ ამიერკავკასიის სეიმში მოვახერხეთ ერთი ენით ამეტყველება, მაშინ ჩვენს დელეგაციას ისეთი ძალა ექნება, რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს.“ ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ნ. რამიშვილის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული პროექტი, სეიმის 17 თებერვლის სხდომის მონაწილე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მოიწონა.

ამიერკავკასიის სეიმის 17 თებერვლის სხდომაზე საზავო დელეგაციის შემდეგი შემადგენლობა იქნა დამტკიცებული: აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი (თავმჯდომარე), ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, მემედ ჰასან გაჯინსკი, იბრაჰიმ-ბეგ ჰაიდაროვი, გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა, რუბენ ივანეს ძე კაჩაზნუნი\*, გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი\*, მირ-იაგუბ მეხთიევი, ხალილ-ბეგ ხას-მამედოვი, ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი, აკპერ შეიხ-ულ-ისლამოვი. თარჯიმნები: დოქტორი ღამბაშიძე, რასულ-ზადე. დელეგაციის საქმეთა მმართველი მიხეილ გიორგის ძე თუძანოვი. თანაშემწეები: გიორგი ნანეიშვილი, რუსუდან მიქელაძე, მდივნები: გრ. ვეშაპელი, კ. პეპინოვი, ს. ფირცხალავა, ტერ-მინასიანი. თავმჯდომარის ადიუტანტი პორუჩიკი ა. გ. ჩხეიძე. როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს – სეიმის მიერ ამიერკავკასიის მთავრობის უფლებამოსილებით აღჭურვილი საზავო დელეგაციის შემადგენლობა სამივე ერის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. შექმნილი რეალობა ამის აუცილებლობას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, თვითოეული ერის ამბიციები მეტ-ნაკლებად მაინც იქნა დაკმაყოფილებული. ამ ფაქტორმა, ზემოაღნიშნული დელეგაციის წევრებისადმი სეიმის სრული მხარდაჭერა განაპირობა. რაც შეეხება მრავალეროვანი საზავო დელეგაციის წევრთა ერთიანობასა და ურთიერთთანადგომას, ამ საკითხთან მიმართებაში ქართული პოლიტიკური ელიტა ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა. თუკი ქართველ სოციალ-დემოკრატებს, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული დელეგაციის მხრიდან სეიმის მიერ მიღებული ინსტრუქციის დაცვის იმედი ჰქონდათ, საპირისპირო შეხედულებას ეროვნულ-დემოკრატები ანვითარებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ სკეპტიციზმს რ. ინგილო იჩენდა. „სეიმის დელეგაცია – წერდა იგი – დაიყოფა ეროვნებების მიხედვით და ყოველი ერის წარმომადგენელი იძულებული გახდება გარკვეული პასუხი გას-

ცეს ოსმალეთის დიპლომატებს ნაციონალურ-ტერიტორიულ საკითხში. საქართველოს წარმომადგენლებმა მძიმე და პასუხსაგები მოვალეობა იკისრეს. მთელი ქართველობა სულგანაბული უცქერის მათ, რადგან ტრაპიზონის მოლაპარაკებაზე და მოკიდებული საქართველოს მომავალი.“

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ აღნიშნული დელეგაციის ერთიანობის შენარჩუნება რ. ინგილოს არ სჯეროდა და ეროვნების მიხედვით დაშლას წინასწარმეტყველებდა. მისი ვარაუდი აზერბაიჯანელთა პროთურქულ ორიენტაციას და სომხების მხრიდან „ოსმალეთის სომხეთისათვის“ ავტონომიის დაუთმობლობას ემყარებოდა. ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, მოლაპარაკების პროცესში, ამიერკავკასიის დელეგაციის წევრთა არასასურველი გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა, სავსებით კანონზომიერად მიაჩნდა. ასეთ პირობებში, საქართველოს წარმომადგენლობას მძიმე და მართლაც საპასუხისმგებლო მოვალეობა ჰქონდა აღებული. საზავო დელეგაციის ტრაპიზონში გამგზავრებიდან ორი კვირის შემდეგ, ანალოგიური თვალსაზრისი იქნა წარმოდგენილი გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ მოწინავე სტატიაში – „ზავის საკითხი.“ ამიერკავკასიის რესპუბლიკის გარდაუვალი დაშლის მტკიცების პარალელურად, მასში განსაკუთრებული ყურადღება საზავო დელეგაციის შინაგან წინააღმდეგობაზე გადატანილი და იგი „ბაბილონის გოდოლთანაა“ შედარებული. სტატიის მტკიცებით, რამდენადაც ამიერკავკასიის „სეიმმა და მთავრობამ მცირერიცხოვანი და მთლიანი საზავო დელეგაციის შედგენა ვერ მოახერხა, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ თვით ამიერკავკასია ორგანული სახელმწიფო კი არა, მხოლოდ ეროვნებათა და პარტიათა კონგლომერატია.“ აქედან გამომდინარე, ასეთი სახის დელეგაციისაგან რომელიმე სახელმწიფოსთან რაიმე სახის სავალდებულო ხელშეკრულების დადება შეუძლებლადაა მიჩნეული. იგივე საკითხი ოპტიმისტური პოზიციიდანაა განხილული გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ მოწინავე სტატიაში – „სამშვიდობო დელეგაცია.“ ეს პუბლიკაცია პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდა და ამიერკავკასიის ძლევამოსილების საფუძველს, რეგიონში მაცხოვრებელი ხალხების ერთიანობაში და ურთიერთთანადგომაში ხედავდა. აქედან გამომდინარე, მოწინავე სტატიის ავტორი გამოთქვამდა იმედს, რომ კარსმოდგარი მტრისადმი დიპლომატიური გზით დაპირისპირების პროცესში, სამშვიდობო დელეგაციის შემადგენლობა, სეიმის მიერ 17 თებერვალს მიღებულ ორპუნქტიან დებულებას დაიცავდა. „ძალა ჩვენს ერთობაშია. ძლევამოსილება ამიერკავკასიის დემოკრატიის ერთსულოვნებაშია... სამშვიდობო დელეგაცია ამ ლოზუნგის მიხედვით იმოქმედებს, ამ საარსებო პრინციპს არ გადაუხვევს და ამაში მხარს დაუჭერს მას მთელი ამიერკავკასიის რევოლუციონური დემოკრატია, მისი საუკეთესო შვილები,“ ნათქვამია მოწინავეში.

ამიერკავკასიის დელეგაციის ერთიანობის შენარჩუნება, იმ ძნელბედობის ჟამს პოლიტიკური აუცილებლობიდან გამომდინარეობდა. მაგრამ, თვით დელეგაციის წევრებს შორის შინაგანი დაპირისპირება იმდენად მძლავრობდა, რომ მისი გარეგანი გამოვლინებისათვის მცირეოდენი პროვოცირებაც საკმარისი იყო. ამ ფაქტორს, ოსმალეთის მხარე საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად გამოი-

ყენებდა. ამიტომ, „პოლიტიკურ რომანტიზმზე“ დამყარებული ამიერკავკასიის „რევოლუციური დემოკრატიის“ იმედი იმ ეტაპზე ნაკლებად დამაჯერებელი ჩანდა. იგი მხოლოდ საზოგადოების მხრიდან საზავო დელეგაციისადმი გარეგნულად მხარდასაჭერ საპროპაგანდო მასალას წარმოადგენდა. მეორე მხრივ, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენდა ბოლშევიკების მიერ გერმანიასთან წინასწარი გარიგებით ქართული ტერიტორიების ოსმალეთისადმი გადაცემის უკანონოდ ოფიციალურად გამოცხადება და საზოგადოებისათვის მისი შეხსენება. ამ თვალსაზრისით, გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატია – „საფრთხე ახლოვდება“ გამოირჩევა. „ოსმალეთს – ვკითხულობთ წერილში – სერიოზულად მოუნდომებია დაეპატრონოს იმ მიწაწყალს, რომელიც ბოლშევიკებმა შესთავაზეს... ეს მიწაწყალი ბოლშევიკური მთავრობის არც საკუთრებას შეადგენს და არც მის განკარგულებაში ყოფილა ოდესმე... ბოლშევიკური ზავი ოსმალეთს არ ანიჭებს არავითარ უფლებას ამ მიწებზე, ვინაიდან ეს... არ იყო ისეთი ზავი, რომელსაც იცნობს კულტურული კაცობრიობა და საერთაშორისო უფლება. ეს საზავო მოლაპარაკება იყო ნაქურდალი... ქონების საიდუმლოდ გაცემა და გაყიდვა.“

როგორც ვხედავთ, გაზეთმა „საქართველომ“ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას „პოლიტიკური ქურდის“ სტატუსი მიანიჭა. ამით იგი ხაზს იმ ძალმომრეობასა და უკანონობას უსვამდა, რომელიც საზავო კონფერენციაზე საქართველოსთან მიმართ იქნა ჩადენილი და რომლის მთავარი ღირიჟორი საბჭოთა ხელისუფლება იყო. იმ კრიტიკულ მომენტში, საზოგადოებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით, ქართული პრესა ფართომასშტაბიან საქმიანობას ეწეოდა. ამის ერთ-ერთ დადასტურებას გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია – „ზავი ოსმალეთთან“ წარმოადგენს. მისი ძირითადი დებულება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ოსმალეთი ნახევრად ფეოდალური, დესპოტური ქვეყანა იყო და მისი საქართველოში შემოსვლა, ამიერკავკასიაზე პოლიტიკურად გაბატონებას ნიშნავდა; 2) ამიერკავკასიამ ისეთ საზავო პირობებს უნდა მოაწეროს ხელი, რომ ოსმალეთს, რეგიონში, პოლიტიკურად გაბატონების შესაძლებლობა არ მიეცეს; 3) ამიერკავკასიის დემოკრატია ერთობლივი ძალებით უნდა შეძლოს 1914 წლის საზღვრების შესაბამისად საზავო ხელშეკრულების დადება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ხალხმა, გაერთიანებული ძალისხმევით, ბოლომდე უნდა დაიცვას სამართლიანი მოთხოვნები.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ამ შემთხვევაშიც ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობის „რომანტიკული“ იდეაა განვრცობილი. ქართველი სოციალ-დემოკრატები და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური ძალები, რატომღაც „ღარწმუნებულნი“ იყვნენ, რომ ოსმალეთთან ნებისმიერი დაპირისპირების დროს, საქართველოს ისტორიული საზღვრების დასაცავად ქართველებს, სომხები და აზერბაიჯანელები ამოუდგებოდნენ გვერდით. თუ რამდენად მცდარი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების „პოლიტიკური რომანტიზმი“, გაჭირვების ჟამს, სომხებისა და აზერბაიჯანელების მხრიდან, ქართველებისადმი ზურგშექცევამ შესანიშნავად წარმოაჩინა.

ტრაპიზონში ჩასულ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას უმძიმესი გამოცდა ელოდებოდა. აქ უნდა წარმოჩენილიყო, თუ რამდენად მონოლითური იყო მისი შემაღენლობა. საზავო მოლაპარაკების პროცესში, დელეგაციის წევრები შეძლებდნენ თუ არა კონსესუსზე დაფუძნებულ სამოქმედო პლატფორმის შემუშავებას და ერთიანი ძალით ოსმალთა დიპლომატიისადმი დაპირისპირებას. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გ. ქიქოძეს, როდესაც ტრაპიზონის კონფერენციას ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ გამოცდას უწოდებდა. ეს „საგამოცდო პოლიტიკური პროცესი“ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციისათვის უაღრესად რთული აღმოჩნდა. მითუმეტეს, დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის უფლებამოსილება სეიმის მიერ, წინასწარ შემუშავებული ზემოაღნიშნული ჩარჩოთი იყო შეზღუდული. მას საზავო პირობების მხოლოდ ერთი ვარიანტი გააჩნდა. მეორე მხრივ, დელეგაციის სამოქმედო პროგრამას ზურგს სამხედრო ძალა არ უმაგრებდა. ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ თვალსაზრისით, რომ სასაზღვრო ზოლში ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების მზადყოფნა, მოლაპარაკების პროცესში ოსმალეთის დელეგაციას სრულად თუ არა, ნაწილობრივ კომპრომისზე წასასვლელად მაინც იძულებულს გახდიდა. ამ მხრივ, ამიერკავკასიის მთავრობამ შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯი ნამდვილად ვერ გადადგა. ტრაპიზონში ჩასულ ამიერკავკასიის დელეგაციას, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, წარმატების მინიმალური შანსიც კი არ გააჩნდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამიერკავკასიის ფრონტზე შექმნილ სიტუაციას ოსმალეთის მხარე განსაკუთრებული სიზუსტით სწავლობდა. აკვირდებოდა, თუ რამდენად მომზადებული იყო სამხედრო თვალსაზრისით ამიერკავკასიის მთავრობა, გააჩნდა თუ არა ოსმალეთის სამხედრო ძალებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ამ მხრივ, ერთ-ერთ სასინჯ ნაბიჯს ვეხიბ ფაშას მიერ კავკასიის რუსული ჯარის სარდლის ლებედინსკისადმი 1918 წლის 25 თებერვალს (ახ. სტილით 10 მარტი) გაგზავნილი რადიო-დეპეშა წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ოსმალთა გენერალი ბრესტის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყარსის, არტანისა და ბათუმის „ოკრუგების“ რუსული ჯარისაგან უმოკლეს დროში დაცლას მოითხოვდა. ამიერკავკასიის ხელისუფლება სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში აღმოჩნდა მოუმზადებელი. მართალია, რუსულ სამხედრო შენაერთებს ბრესტის საზავო ხელშეკრულების შესაბამისად ზემოაღნიშნული „ოკრუგები“ უნდა დაეცალა, მაგრამ, ამიერკავკასიის მთავრობას, რომელიც ამ საზავო ხელშეკრულებას ოფიციალურად არ ცნობდა, რუსული ჯარი ადგილობრივით უნდა ჩაენაცვლებინა. ამ პროცედურის განხორციელების შემთხვევაში, ოსმალეთის მხარე გარკვეული ბარიერის წინაშე აღმოჩნდებოდა. მას, „პარადული მარშით“ რუსების მხრიდან სტრატეგიული პუნქტების, დაცარიელებული ტერიტორიებისა და უპატრონოდ მიტოვებული დიდძალი ქონების დაპატრონების შესაძლებლობა არ მიეცემოდა. ამიერკავკასიის მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისადმი დროულად თადარიგის ვერდაჭერამ და შესაბამისი პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობამ, თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით,

ამიერკავკასია უსუსურ მდგომარეობაში ჩააყენა. ოსმალო დიპლომატები აღნიშნული ფაქტორის გამოყენებას მაქსიმალურად ცდილობდნენ.

შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე\* გენერალ ოდიშელიძეს წერდა: „25 თებერვალს ვეხიბ ფაშასაგან წინადადება მივიღეთ, რომ დავტოვოთ ბათუმი, ყარსი და არდაგანი ბრესტ-ლიტოვსკში სახალხო კომისართა საბჭოსაგან დადებული ხელშეკრულების თანახმად, რომელი საბჭოც ამიერკავკასიის მთავრობას არასოდეს არ უცვნიან. გთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოთ შემდეგი: ამ ოკრუგების დატოვების წინადადება ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ოსმალეთს ჩვენთან მოლაპარაკების წარმოება არ სურს?“ მართალია, ამ დოკუმენტის მიხედვით, ოსმალეთის მხარე ბათუმის, არდაგანისა და ყარსის „ოკრუგების“ დაუყოვნებლივი დაცლის საკითხს აყენებდა, მაგრამ, მისი ეს პოზიცია ამიერკავკასიის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე უარის თქმას სრულებითაც არ ნიშნავდა. ამ შემთხვევაში, ოსმალეთი რამდენიმე სახის სცენარის გათამაშებას აპირებდა; 1) ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით გაკეთებული ულტიმატუმით, ოსმალეთის მხარე ამიერკავკასიის ხელისუფლებისაგან ზემოაღნიშნული „ოკრუგების“ სამხედრო ქვედანაყოფებისაგან ნებაყოფლობითი დაცლის პროცესის განხორციელებას ცდილობდა; 2) ამ ჩანაფიქრის წარუმატებლობის შემთხვევაში, მას მეორე კონბინაცია ჰქონდა მომზადებული. მხედველობაში გვაქვს დასახელებული „ოკრუგების“ ძალისმიერი გზით მიტაცება. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის ტრაპიზონში ჩასვლამდე, ეს მეორე სვლაც ოსმალეთის მხრიდან მაღალ დონეზე მზადდებოდა. ამ ფაქტორით იყო განპირობებული ამიერკავკასიის ჯარის მთავარსარდლის, ლებედინსკის მიერ ვეხიბ ფაშასადმი გაგზავნილი საპროტესტო ნოტა. „ესლა როცა ჩვენი ხალხის წარმომადგენლები – ვკითხულობთ დოკუმენტში – მზად არიან საპატიო ზავის პირობების შესამუშავებლად ერთმანეთს შეხვდნენ ტრაპიზონში, ნუთუ თქვენ უღალატებთ იმ რაინდულ ჰუმანურ პრინციპებს, რომელთა უმაღლესი წარმომადგენელი იყო თქვენი მაღალკეთილშობილება და რომელსაც იცავენ ჩვენი ჯარები ომის განმავლობაში? მე მივმართავ თქვენს აღმატებულებას უმორჩილესი თხოვნით; ცივილიზაციისა და ადამიანობის სახელით უბრძანოთ თქვენს ჯარს შეაჩერონ შემოტავა, რომ არ გართულდეს ურთიერთ დამოკიდებულება და ჩვენს დელეგაციებს ტრაპიზონში გაუადვილდეს მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აღმატებულება დაეთანხმება ჩემს წინადადებას.“ ასეთი თხოვნის მიუხედავად, ფრონტზე შექმნილი სიტუაციის მაქსიმალურად გამოყენებიდან გამომდინარე, ოსმალეთის სამხედრო შენაერთები შეტევით ოპერაციებს ანხორციელებდნენ, ხოლო ქართული და სომხური ჯარის ნაწილები უსისტემოდ უკან იხევდნენ და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს მოწინააღმდეგეს თითქმის უბრძოლველად უტოვებდნენ. ამ ფაქტს, გენერალ ოდიშელიძის მიერ, ამიერკავკასიის მთავრობისადმი არზრუმიდან გამოგზავნილი დეპეშაც ადასტურებს.

ამიერკავკასიის სამხედრო უწყებაში არსებული დაბნეულობა და ფრონტზე შექმნილი ქაოსი, ოსმალეთის მხარეს, მესამე საფეხურით დასახული ამოცანის შესრულების შესაძლებლობას აძლევდა. ამ შემთხვევაში, მის მიზანს ბრესტის

საზავო ხელშეკრულებით „მოპოვებული“ ტერიტორიების დაკავება და ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ფაქტის წინაშე დაყენება წარმოადგენდა. თუკი ამ ჩანაფიქრს განანორციელებდა, საზავო კონფერენციის მსვლელობის პერიოდში ოსმალეთი მოკარნახის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, და რაც მთავარია, საერთაშორისო კონგრესს, მიტაცებული ტერიტორიებით შეხვდებოდა. ამის შემდეგ, ის ძალით წართმეულის საერთაშორისო სამართლებრივი ფორმით დაკანონებას შეეცდებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოსმალეთის ზემოაღნიშნული ქმედებით, ერზინჯანში 1917 წლის 5 დეკემბერს დადებული შეთანხმება დაირღვა. სამწუხაროდ, ოსმალეთის მხარე იმ ეტაპზე ამ ფაქტს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. იგი შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობდა. ასეთ პირობებში მოუხდა მუშაობა ტრაპიზონში ჩასულ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას. სირთულეებს ისიც ქმნიდა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციასა და მის ხელმძღვანელ აკ. ჩხენკელს, დიპლომატიაში გაწვრთნილ ოსმალეთის წარმომადგენლებთან უხდებოდათ დაპირისპირება. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 8 აპრილის სხდომაზე ზავის საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ მოხსენებაში იგივე აკ. ჩხენკელი გარკვევით მიუთითებდა: „ოსმალეთის წარმომადგენელნი დიპლომატიაში უკვე გაწვრთნილნი იყვნენ... ჩვენთვის კი ეს ასპარეზი სულ ახალი იყო.“ მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაური აკ. ჩხენკელი ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე ღირსეულად უმკლავდებოდა დაპირისპირებულ მხარეს და დიპლომატიური ეტიკეტის დაცვის ფარგლებში, ოსმალეთის წარმომადგენლობას დოკუმენტების გაყალბებაშიც კი ამხელდა. ამის დადასტურებას ტრაპიზონის საზავო კონფერენციის სხდომებზე თავმჯდომარის მონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით გამართული დისკუსია წარმოადგენს.

დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, რომ კონფერენციის თავმჯდომარის უფლებების შენარჩუნების მიზნით, რაუფ-ბეი, ტრაპიზონს ნეიტრალურ ქალაქად არ თვლიდა და ნიშნის მოგებით აკ. ჩხენკელს შეახსენებდა, რომ ამ პოზიციას ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორიც იცავდა. ამის დასტურად ე. გეგეჭკორის მიერ ვეზიბ ფაშასადმი გაგზავნილ დეპეშას იშველიებდა; „თუ სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად ტრაპიზონს რაიმე მიზეზით მოუხერხებლად მიიჩნევენ, აირჩიონ ნეიტრალური ადგილი.“ ამ ტექსტის მიხედვით, ე. გეგეჭკორის მხრიდან ტრაპიზონი ნეიტრალურ ქალაქად მართლაც არ არის აღიარებული. სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ რაუფ-ბეის მხრიდან ე. გეგეჭკორის დეპეშის ტექსტის შეფარვითი მანიპულირების ნიუანსი აკ. ჩხენკელს ყურადღების მიღმა არ დარჩენია. იგი იძულებული გახდა აღნიშნული დეპეშის ოფიციალური ტექსტი იმავე სხდომის მონაწილეებისთვის გაეცნო: „ამიერკავკასიის კომისარიატს... აუცილებლად მიაჩნია ტრაპიზონში შედგეს დელეგატების შეხვედრა. თუ თურქეთის მთავრობას რაღაც მიზეზით ეს შეუძლებლად მიაჩნია, მაშინ კომისარიატი შემოგთავაზებთ რომელიმე სხვა ნეიტრალურ პუნქტს.“ ე. გეგეჭკორის დეპეშიდან რაუფ-ბეისა და აკ. ჩხენკელის მიერ მოტანილ ციტირებებს თუკი ერთმანეთს შევადარებთ დავრწმუნდებით, რომ რაუფ-ბეის მიერ წაკითხული ტექსტიდან ამოღებულია სიტყვები „რომელიმე

**სხვა.**“ ამით იგი დოკუმენტისათვის სასურველი შინაარსის მიცემას ცდილობდა. აკ. ჩხენკელის მხრიდან ამ ფაქტზე მწვავე რეაგირება იმის დამადასტურებელია, რომ ნებისმიერ დარღვევასთან მიმართებაში, იგი მზად იყო, ოსმალთა დიპლომატიებისადმი ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია. მეორე მხრივ, ეს ფაქტი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ რაუფ-ბეის იოლ ფორმებში დიპლომატიური გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, ამ ფაქტორმა განაპირობა რაუფ-ბეის მიერ ამიერკავკასიის სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არარსებობაზე ყურადღების გადატანა. ამ ფონზე, ამიერკავკასიის დელეგაციის მისამართით იგი აცხადებდა: 1) ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში ამიერკავკასიის ხელისუფლება თავს რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილად თვლიდა; 2) ამიერკავკასია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენს, არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არ არის და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ პრინციპს არ პასუხობს. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის მთავრობასა და სეიმს ბრესტის საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილის ბათილად გამოცხადება არ შეუძლია, რომელიც ამიერკავკასიას ეხება; 3) ამიერკავკასიის დელეგაციამ დააზუსტოს ამიერკავკასიის ტერიტორიის საზღვრები. ზუსტად განსაზღვროს ამიერკავკასიის მთავრობის დამოკიდებულება და პოზიცია ოსმალეთთან მიმართებაში; 4) ოსმალეთის მიზანს წარმოადგენს სისრულეში მოიყვანოს ბრესტის საზავო ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ამიერკავკასიას ეხება და ამიერკავკასიასთან შეკრას მეგობრული კავშირი. ერთი შეხედვით, რაუფ-ბეიმ საკმაოდ მყარი არგუმენტები წარმოადგინა. მეორე მხრივ, აღნიშნულ მოლაპარაკებაში ოსმალეთის მიზანი მან დაუფარავად წარმოაჩინა. ამ სვლით იგი ამიერკავკასიის დელეგაციის „დიპლომატიურ კაპიტულაციას“ ისახავდა მიზნად. ასეთ რთულ სიტუაციაში გამოსავალი ერთადერთი იყო. ამიერკავკასიის დელეგაციას ოსმალეთის გენერლის, ვეზიბ ფაშასა და ე. გეგეჭკორის მიმღწერის დოკუმენტური მასალა საფუძვლიანად უნდა შეესწავლა და აკ. ჩხენკელს შესაბამისი პასუხი მასზე დაყრდნობით აეგო.

ტრაპიზონის კონფერენციის სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ ამ სამუშაოს შესანიშნავად გაართვა თავი. ამის დადასტურებას აკ. ჩხენკელის მიერ ტრაპიზონის კონფერენციის IV სხდომაზე წარმოდგენილი სიტყვა წარმოადგენს. თუ რამდენად მართებული იყო რაუფ-ბეის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ამიერკავკასია თავს საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა, ამ საკითხთან დაკავშირებით აკ. ჩხენკელმა ოპონენტს ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 5 იანვრის დადგენილება შეახსენა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ამიერკავკასია თავს დემოკრატიული რუსეთის (და არა საბჭოთა რუსეთის) შემადგენელ ნაწილად აცხადებდა და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას დამფუძნებელი კრებისგან შესაბამისი რწმუნების მიღებისთანავე დაიწყებდა. იმავე აკ. ჩხენკელის სამართლიანი მტკიცებით, ამიერკავკასიის მთავრობა საბჭოთა რუსეთს არ ცნობდა, ხოლო დამფუძნებელი კრების გარეკვის (1918 წლის 6 იანვარი) ფაქტმა, ამიერკავკასიაზე რუსეთის სამართლებრივი უფლებები ავტომატურად

შეწყვიტა. მეორეც, ოსმალეთის მხარე ამიერკავკასიას საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად თუკი მოიაზრებდა, არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით ერზინჯანში დროებითი საზავო ხელშეკრულების (1917 წლის 5 დეკემბერი) გაფორმება. მითუმეტეს, ანალოგიური სახის ხელშეკრულება (სამი დღით ადრე) იმავე წლის 2 დეკემბერს გერმანიის მოკავშირეებსა და რუსეთს შორის ოფიციალურად იქნა ხელმოწერილი. ასეთ ფონზე, აკ. ჩხენკელმა რამდენიმე მწვავე შეკითხვა დაუსვა რაუფ-ბეის: 1) იმ შემთხვევაში, თუკი ოსმალეთის მხარე ამიერკავკასიას საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არ მიიჩნევდა, მაშინ რით იყო განპირობებული ვეხიბ ფაშას მიერ 1918 წლის 1 იანვარს გამოგზავნილ რადიო-დეპეშაში „დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მთავრობის“ ფორმით მოხსენიება? ამ სამართლიან და ლოგიკურ კითხვას რაუფ-ბეიმ უსუსური პასუხი გასცა. მისი თქმით, ვეხიბ ფაშას „ამ წინადადებას იურიდიული ძალა“ არ გააჩნდა და იგი „აბსტრაქტული წინადადება“ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსმალეთის წარმომადგენლობა იმ ეტაპზე მისთვის არასასურველი ფაქტების შეხსენებას არა მარტო მტკივნეულად აღიქვამდა, არამედ, შეგნებულად, იურიდიულად ძალადაკარგულად და აბსტრაქტულად აცხადებდა, ხოლო მისთვის საჭიროების შემთხვევაში, იმავე ვეხიბ ფაშას რადიო-დეპეშების ქართული მხარის წინააღმდეგ გამოყენებას ცდილობდა. იმ შემთხვევაში, თუკი ვეხიბ ფაშას მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი გამოგზავნილი, ოსმალეთის დელეგაციისათვის არასასურველი დოკუმენტი იურიდიულად არასრულფასოვნად ითვლებოდა, იმავე კონტექსტში უნდა განხილულიყო ვეხიბ ფაშას ხელმოწერით გამოგზავნილი სხვა დოკუმენტებიც; 2) თუკი ოსმალეთი ამიერკავკასიას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არ თვლიდა და მას საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებდა, ა) ბრესტის საზავო მოლაპარაკებაში ამიერკავკასიის წარმომადგენლობის მიწვევა ოსმალეთის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა; ბ) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკას არ ექვემდებარება ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის მთავრობისადმი 1918 წლის 6 და 10 თებერვალს შეთავაზებული წინადადება – ოსმალეთსა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის პირდაპირი საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთი და ოთხთა კავშირი (მათ შორის ოსმალეთიც) ბრესტის საზავო ხელშეკრულების პირობებზე წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. 3) ვეხიბ ფაშას მიერ 1918 წლის 10 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშაში შემოთავაზებული წინადადება „ორივე მხარისათვის სამართლიანი და საპატიო ზავის საფუძვლის დაუყოვნებლივი მომზადების შესახებ“ ბრესტის საზავო ხელშეკრულების პირობების აღიარების მოთხოვნას არ ითვალისწინებდა. ამ დეპეშის ამოსავალ საფუძვლად ბრესტის საზავო ხელშეკრულება რომ ყოფილიყო დასახელებული, ამიერკავკასიის დელეგაცია, პირველ რიგში, ბრესტის ხელშეკრულების სრულ ტექსტს მოითხოვდა და საკითხს შემდგენაირად დააყენებდა: ა) რამდენად მართებული და კანონზომიერი იქნებოდა საზავო ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ოთხივე სახელმწიფოს ნაცვლად, მოლაპარაკება მხოლოდ ოსმალეთის ხელისუფლებასთან გამართულიყო; ბ) კონკრეტულად რა



უფლებებით აცხადებს ოსმალეთის ხელისუფლება პრეტენზიას ბათუმის, ყარსისა და არდაგანის „ოკრუგებზე“ (სანჯაყებზე). აკ. ჩხენკელის აღნიშნული პასუხი და კითხვები დოკუმენტური მასალით იმდენად იყო გამაგრებელი, რომ ტრაპიზონის კონფერენციის მეექვსე სხდომაზე რაუფ-ბეის მიერ, თითქმის უპასუხოდ იქნა დატოვებული. მითუმეტეს, ტრაპიზონის კონფერენციის მესამე სხდომაზე იმავე რაუფ-ბეის განცხადება ჰქონდა გაკეთებული, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, „ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება არანაირ ასპექტში არ უნდა ეხებოდეს მესამე სახელმწიფოს.“ რაუფ-ბეის, რამდენადაც ეს წინადადებაც შეახსენეს, ტრაპიზონის საზავო კონფერენციის IV და V სხდომებზე იგი ამიერკავკასიის სახელმწიფოს არარსებობის „დამტკიცებას“ ყოველმხრივ ცდილობდა. ამ შემთხვევაშიაც რაუფ-ბეი ლოგიკურ წინააღმდეგობაში ვარდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ თუკი ამიერკავკასიის სახელმწიფო არ არსებობდა, მაშინ ოსმალეთის მხარე რომელი ქვეყნის წარმომადგენლობასთან მართავდა საზავო მოლაპარაკებას, და რაც მთავარია, არარსებული სახელმწიფოს დელეგაციასთან რამდენად მიზანშეწონილი იყო ასეთი სახის მოლაპარაკება მაშინ, როდესაც ბრესტის საზავო ხელშეკრულება ოფიციალურად იყო გაფორმებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ და მისმა მეთაურმა, ოსმალეთის გამოცდილ დიპლომატებს არა თუ ღირსეული მეტოქეობა გაუწია, არამედ, მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში, ლოგიკური მტკიცებულებების თვალსაზრისით გარკვეულ უპირატესობასაც კი მიაღწია. სამწუხაროდ, ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე პრობლემას წყვეტდა არა დოკუმენტურ მასალაზე დამყარებული საღი ლოგიკური მსჯელობა, არამედ ქვეყნის სამხედრო სიძლიერე. ამის დადასტურებას ტრაპიზონის საზავო კონფერენციის უშუალო მონაწილის ს. ფირცხალავას წერილი – „ტრაპიზონიდან“ წარმოადგენს. „ჩვენს წინადადებას ცამდე სამართლიანს და ყოველად გონივრულს – ვკითხულობთ წერილში – იმდენად აფასებენ და ანგარიშს უწევენ, რამდენადაც ჩვენს სიტყვას ბანს აძლევენ, ზურგს უმაგრებს ჩვენი სამხედრო მომზადება. აქ მხოლოდ ერთი ენაა, ერთი საბუთი: საომარი მომზადება და სამხედრო მოქმედების უნარი. ვინც ამ იარაღით არაა აღჭურვილი და ისე გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე საზავო მოლაპარაკებისათვის ის თავიდანვე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმეს აუცილებლად წააგებს, სამარცხვინოდ დამარცხდება... გახსოვდეთ... რომ აქ, ტრაპიზონში მყოფთა ხმას იმდენად აქცევენ ყურადღებას, რამდენადაც ამ ხმაში მოისმის დაჭიმული ბატარეების გამწარებული კვნესა და მწყობრი ჯარების ამოძრავება.“ ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ტრაპიზონის მოლაპარაკების შედეგს სამხედრო ძალაზე დამყარებული „დიპლომატია“ განსაზღვრავდა. ამ ფაქტორს ოსმალეთის მხარე ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების პროცესში მაქსიმალურად იყენებდა. ეს მომენტი ქართული პოლიტიკური აზრის წარმომადგენლების მხრიდან ყურადღების მიღმა არ დარჩენილა და მსჯელობის საგნადაც იქცა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი ვ. ნიკურაძის სტატია – „გადამჭრელი მომენტი“ იქცევს. სტატიის ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს ოსმალეთის ხელისუფლების ორმაგი

სტანდარტის პოლიტიკური კურსი. ერთი მხრივ, ოსმალეთი ამიერკავკასიას კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებასა და საპატიო ზავის დადებას სთავაზობდა, ხოლო მეორე მხრივ, საომარ მოქმედებებს აგრძელებდა და ბრესტის საზავო ხელშეკრულებით „ნაბოძები“ ტერიტორიების დაჩქარებული ტემპით დაკავებას ცდილობდა. ამ შემთხვევაში, მათ მიზანს ტრაპიზონში მყოფი ამიერკავკასიის დელეგაციის ფაქტის წინაშე დაყენება და კაპიტულაციაზე წასვლა წარმოადგენდა. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, იმავე სტატიაში ვ. ნიკურაძე გარკვევით წერდა: „ჩვენ ვიცით ოსმალეთის იმპერიალისტების სულისკვეთება... მათი მოთხოვნები. ისინი არავითარ საშუალებებს არ დაერიდებიან, ყოველი ძალღონით შეეცდებიან... აგრესიული მიზნის განხორციელებას.“

ოსმალეთის ხელისუფლების აღნიშნული კურსის გატარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს, ამიერკავკასიის მთავრობის მხრიდან ოსმალეთის საჯარისო შენაერთებისადმი შესაბამისი ფიზიკური ძალის დაუპირისპირებლობა წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ტრაპიზონში ჩასული ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში კონსენსუსის მიღწევას ვერ ახერხებდა. ამის შესახებ, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 8 აპრილის სხდომაზე აკ. ჩხენკელი ამბობდა: „ჩვენ მთელი დღით გვიხდებოდა კამათი და დავა ჩვენსავე შორის ამა თუ იმ საკითხებზე და მაინც ერთი გადაჭრილი დასკვნის გამოტანას ვერ ვახერხებდით. ოსმალეთის დელეგაციისგან პასუხი... სულ რამდენიმე საათში მოდიოდა.“ საქმეს ისიც ართულებდა, რომ იმ კრიტიკულ მომენტში, დელეგაციის შემაღვენლობა დაპირისპირების თვალსაზრისით ორ ნაწილად გაიყო, რამაც კონფერენციის შედეგებზე გარკვეული უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა. საქმე ეხებოდა ოსმალეთისათვის დასათმობი ტერიტორიების მინიმუმისა და მაქსიმუმის შემუშავების გეგმას და ოსმალეთის მოკავშირე გერმანიასთან არაოფიციალური მოლაპარაკების გამართვის აუცილებლობას. დასახული მიზნის განხორციელება თუკი შეუძლებელი გახდა, ხელშემშლელი ფაქტორის შექმნაში ლომის წილი სომხური და აზერბაიჯანული დელეგაციების წარმომადგენლებს ედოთ. ამის დადასტურებას საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 8 აპრილისა და ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები წარმოადგენს.

ასეთ რთულ ვითარებაში, გამოსავალი მხოლოდ დელეგაციის თავმჯდომარისადმი საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტის უფლებების მინიჭებაში მდგომარეობდა. ამის აუცილებლობის შესახებ, ტრაპიზონიდან თბილისში ჩასულმა გ. ლასხიშვილმა ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე სპეციალური განცხადება გააკეთა. იმავე საკითხთან დაკავშირებით, ნ. რამიშვილმა ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარის აკ. ჩხენკელის საგანგებო უფლებებით აღეჭურვა მოითხოვა და სეიმს შესაბამისი რეზოლუციის პროექტიც წარუდგინა. „სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი – ვკითხულობთ დოკუმენტში – აღიჭურვოს საგანგებო უფლებებით და მას ნება მიეცეს დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგას საპატიო ზავის ჩამოსაგდებად.“

ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებულმა ამ რეზოლუციამ, აკ. ჩხენკელს გაბედულად მოქმედებისა და არსებული სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა მისცა. ამით იყო განპირობებული ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის 17 და 18 მარტის სხდომებზე აკ. ჩხენკელის მიერ, „ოსმალეთის სომხეთისათვის“ ავტონომიის მოხსნის საკითხის დაყენება. ამ წინადადებას მხარი გ. გვაზავამ, გ. ლასხიშვილმა და გრ. ვეშაპელმა დაუჭირეს. რაც შეეხება ა. ხატისოვს, რ. კაჩაზნუნსა და კ. პეპინოვს, ისინი სომხური საკითხის დღის წესრიგში დატოვებას კატეგორიულად მოითხოვდნენ. როგორც დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, ზემოაღნიშნული ორივე სხდომა უშედეგოდ – საკითხთან მიმართებაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების გარეშე დამთავრდა. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ტერიტორიების დათმობასთან მიმართებაშიაც. არადა, ტრაპიზონის მოლაპარაკების სხდომებზე გამართული დისკუსიებიდან გამომდინარე, შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ოსმალეთის მხარისადმი პასუხის დროულად მიცემის აუცილებლობას მოითხოვდა. ამ მხრივ, აკ. ჩხენკელმა საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგა და შესაბამის სპეციალისტებთან ერთად, ტერიტორიების დათმობის მისეული პროექტი ამიერკავკასიის დელეგაციის 21 მარტის სხდომას წარუდგინა. ამ დოკუმენტის მიხედვით, ოლთისის „ოკრუგი“, არდაგანის „ოკრუგის“ ნახევარზე მეტი, ყარსისა და კალიზმანის „ოკრუგების“ ნაწილი ოსმალეთს უნდა გადასცემოდა. ამ პროექტმა, დელეგაციის სომხური წარმომადგენლობის მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით რ. კაჩაზნუნი აქტიურობდა. მან აკ. ჩხენკელს ბრალდებაც კი წაუყენა, რომ ბათუმის ოლქიდან ერთი გოჯი მიწის დათმობა არ სურდა, ხოლო სანაცვლოდ ოსმალეთისადმი სომხური მოსახლეობით დასახლებული „ოკრუგების“ გადაცემას აპირებდა. მისი მტკიცებით, პირველ რიგში, ოსმალეთისათვის ართვინის, ოლთისის და არდაგანის „ოკრუგების“ ნაწილი უნდა დაეთმოთ. რაც შეეხება ყარსისა და კალიზმანის „ოკრუგებს“, რ. კაჩაზნუნის აზრით, მეორე რიგისათვის – მაქსიმუმისათვის უნდა შემოენახათ. სომხების მხრიდან გამოთქმულმა პრეტენზიებმა გარკვეული სტიმული აზერბაიჯანის წარმომადგენლებსაც მისცა. ამ მხრივ, განსაკუთრებით კ. პეპინოვი გამოირჩეოდა. მუსლიმანური მოსახლეობის ინტერესების დაცვის მოტივით, მან ამიერკავკასიის რეგიონში მეოთხე სახელმწიფო ერთეულის შექმნის საკითხი დააყენა. მისი მტკიცებით, ბათუმისა და ყარსის ოლქების, ახალციხისა და ახალქალაქის მახრების მუსლიმანური მოსახლეობის ბაზაზე ამიერკავკასიაში მეოთხე დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული უნდა შექმნილიყო. ამ მოთხოვნას იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა: რეგიონის მუსლიმანურ მოსახლეობას შორის „ეკონომიურად, რელიგიურად, ყოფაცხოვრების წესებით და რასობრივად... ძალიან ძლიერი... კავშირია და ცალ-ცალკე ცხოვრება გაუჭირდებათ... თქვენ კი ჭრით ამ პროვინციებს ორ ნაწილად, ამით უსპობთ თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობას, როგორც ოსმალეთისადმი გადაცემულ ნაწილს, ასევე აქეთ დარჩენილს.“ ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ პრობლემის გადასაწყვეტად კ. პეპინოვი ამიერკავკასიაში ოსმალური პანისლამისტური სახელმწიფოს შექმნის იდეოლოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. აქედან გა-

მომდინარე, იგი ბრესტის საზავო ხელშეკრულების IV მუხლის საფუძველზე, ზემოაღნიშნული „ოკრუგებისა“ და მაზრების ბაზაზე მუსლიმანური მოსახლეობისათვის ავტონომიის შექმნას აუცილებლობად მიიჩნევდა. ქართველი ერისათვის ამ საზიანო იდეის შენიღბვის მიზნით, იგი არ აკონკრეტებდა, თუ ვის შემადგენლობაში დარჩებოდა მის მიერ ნავარაუდები ავტონომიური ერთეული. ცნობილი ფაქტია, რომ მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობაში აღნიშნული იდეის პროპაგანდა ოსმალო ემისრების მხრიდან, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. კომპრომისული მინიმუმის თვალსაზრისით, ოსმალეთისათვის გადასაცემი ტერიტორიების ამ ფონზე შერჩევა, უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. იმ შემთხვევაში, თუკი ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა, საპასუხისმგებლო ნაბიჯი სეიმის მიერ მინიჭებული უფლებებიდან გამომდინარე, აკ. ჩხენკელს უნდა გადაეღვა. ეს უმძიმესი პასუხისმგებლობა ჰქონდა მხედველობაში აკ. ჩხენკელს, როცა ამიერკავკასიის დელეგაციის წევრთა მისამართით 1918 წლის 21 მარტის სხდომაზე საყვედურით ამბობდა: „როგორც ჩანს, ჩემდა საუბედუროდ, მიპირებენ მსხვერპლად შეწირვას, როცა მთელ პასუხისმგებლობას მე მკიდებენ ზურგზე, მაგრამ ეს ქალაქი (დასათმობი ტერიტორიების პროექტი, შ.ვ) მაინც მთელი დელეგაციის სახელით უნდა წავიდეს.“

ამიერკავკასიის დელეგაციის წევრთა შორის ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაუსრულებელი შიდა დებატების მიუხედავად, გადამწყვეტი როლი აკ. ჩხენკელის პრინციპულმა პოზიციამ და მისმა კატეგორიულმა მოთხოვნამ შეასრულა. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა აკ. ჩხენკელს შესაძლებლობა, ოსმალეთისადმი დასათმობი ტერიტორიების მინიმუმის შესახებ ოფიციალური განცხადება ტრაპიზონის საზავო კონფერენციის VI სხდომაზე გაეკეთებინა. „ამიერკავკასიის დელეგაციამ – აცხადებდა აკ. ჩხენკელი – გადახედა ძველ სახელმწიფო საზღვრებს და სთავაზობს დაიღოს შემდეგი საზღვარი თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის... თურქეთს გადაეცემა: ოლთისის მთელი სანჯაყი, არდაგანის სანჯაყის სამხრეთი ნაწილი, ყარსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და დასავლეთი ნაწილი კალიზმანის სანჯაყისა.“

აკ. ჩხენკელის მხრიდან ასეთი კომპრომისული ფორმით გამოსვლის მიუხედავად, ოსმალეთის დელეგაციის მეთაური რაუფ-ბეი იმის გარკვევასაც შეეცადა, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული დასათმობი ტერიტორიები საბოლოო ვარიანტს წარმოადგენდა, თუ ამიერკავკასიის დელეგაციას კიდევ შეეძლო კომპრომისზე წასვლა. ამასთან დაკავშირებით, რაუფ-ბეის მიერ „დიპლომატიური სატყუარის“ ფორმით დასმულ კითხვაზე, კონკრეტულ პასუხს, აკ. ჩხენკელმა დიპლომატიურად აუარა გვერდი და მსჯელობის მიმართულება მოლაპარაკების ძირითად სიბრტყეზე გადაიტანა. ამის დადასტურებას აკ. ჩხენკელის მიერ რაუფ-ბეისადმი გაცემული პასუხი წარმოადგენს: „მე არ შემიძლია ვუპასუხო ამ კითხვას – განაცხადა აკ. ჩხენკელმა – ჩვენი წინადადება დაფიქსირებულია ოფიციალურ დოკუმენტში. მე მხოლოდ კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩვენ გადავედით საზავო პირობების კონკრეტულ მოთხოვნაზე და მოველით ოტომანის დელეგაციისაგან, რომ სწორედ ამ სიბრტყეზე მოხდება

მოლაპარაკების გაგრძელება, რომელიც სასურველია წარმატებით და სწრაფად დასრულდეს.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ აკ. ჩხენკელისაგან რაუფ-ბეი მისთვის სასურველ ინფორმაციას ვერ მიიღებდა. აქედან გამომდინარე, მას ერთადერთი გზა რჩებოდა: მიეღო ან უარეყო ტერიტორიების დათმობის აკ. ჩხენკელისეული ვარიანტი. ამ შემთხვევაში, რაუფ-ბეიმ კონკრეტულ პასუხს დიპლომატიური სვლა ამჯობინა და ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობისაგან, შესაბამისი ინსტრუქციის მიღებამდე, კონფერენციის VI სხდომა (23 მარტი) დახურულად გამოაცხადა.

სავარაუდოა, რომ რაუფ-ბეის ეს გადაწყვეტილება ოსმალეთის ხელისუფლებასთან წინასწარ იყო შეთანხმებული, რადგან საკითხის კონკრეტული განხილვა ოსმალეთის მხარეს ხელს არ აძლევდა. მის ამოცანას, მხოლოდ, ამიერკავკასიის დელეგაციისაგან ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარების მიღწევა წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა საზავო დელეგაციის თავმჯდომარის რაუფ-ბეის ხელმოწერით ამიერკავკასიის დელეგაციისადმი 24 მარტს გადაცემული ულტიმატუმი, რომელიც კატეგორიული ფორმით, 48 საათის განმავლობაში ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარების პასუხს მოითხოვდა. აღნიშნული დოკუმენტი ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის 24, 26, 28, 31 მარტის სხდომების მსჯელობის ძირითადი საგანი გახდა. სტენოგრაფიული ანგარიშების შესწავლიდან ირკვევა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის წევრთა შორის აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სამი შეხედულება გამოიკვეთა: 1) ბრესტის საზავო ხელშეკრულებისადმი მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რეფერენდუმი „ოკრუგების“ მიხედვით ჩატარდებოდა (კაჩაზნუნი, მეჰმედ-ჰასან-გაჯინსკი); 2) ოსმალეთის მხრიდან მიერთებულ „სანჯაყებში“, ძალმომრეობის პრინციპის მოსალოდნელი გამოყენებიდან გამომდინარე, ოსმალური რეფერენდუმისადმი უნდობლობა (ა. ხატისოვი, გ. ლასხიშვილი, ხ. ბ. ხას-მამედოვი); 3) ბრესტის საზავო ხელშეკრულებისადმი სეიმის დამოკიდებულების ოფიციალური დადასტურების მოთხოვნა (ხ. ბ. ხას-მამედოვი, გ. ლასხიშვილი). მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკების გაგრძელების ჩაშლის შემთხვევაში, საომარი მოქმედების განახლება გარდაუვალი ხდებოდა. დელეგაციის წევრთა წინაშე პრინციპულად დაისვა საკითხი: შეძლებდა, თუ არა ამიერკავკასია იმ ეტაპზე ოსმალეთის შეიარაღებული სამხედრო ძალების შეჩერებას. ამასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით მ. გაჯინსკიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ აზერბაიჯანელებს ოსმალეთთან ბრძოლა არ შეუძლიათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ ძნელბედობის ჟამს, აზერბაიჯანის მხარე, ფაქტობრივად ამიერკავკასიის ერთიანობას არღვევდა. მოსალოდნელი საომარი ოპერაციების სიმძიმე ქართულ-სომხურ სამხედრო შენაერთებს ეკისრებოდათ. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ტერიტორიების დათმობის შესახებ ამიერკავკასიის მთავრობისადმი 25 მარტს გაგზავნილი, ე. წ. პროექტის მაქსიმუმის შესახებ პასუხი თბილისიდან იგვიანებდა. მითუმეტეს, 48 საათიანი ოსმალური ულტიმატუმის ვადა 26 მარტს იწურებოდა. არსებული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, აკ. ჩხენკელმა ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარება აუცილებლობად მიიჩ-

ნია. ამ გადაწყვეტილების მიღება იმითაც იყო განპირობებული, რომ 26 მარტს, ოსმალებმა საომარი ოპერაციები განაახლეს. არტანის „ოკრუგის“ დაკავების შემდეგ, ბათუმისა და ყარსის „ოკრუგების“ ოკუპაციას შეუდგნენ. მართალია, ამიერკავკასიის სეიმისგან აკ. ჩხენკელს ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარების დასტური არ ჰქონდა, მაგრამ ეს ნაბიჯი მან ამიერკავკასიის დელეგაციასთან შეთანხმების საფუძველზე გადადგა. ამასთან დაკავშირებით, აკ. ჩხენკელი ეროვნული საბჭოს 1918 წლის 8 აპრილის სხდომაზე აცხადებდა: „პირველი ნაბიჯი... მთავარი და უფრო დიდმნიშვნელოვანი, ბრესტის ზავის მიღების შესახებ მთავრობის ნებადაურთველად გადავდგით. ჩვენ ვარჩიეთ ეს ნაკლები დანაშაულიც მიგველო ჩვენს თავზე და ზავის შეკერის საშუალება სრულიად არ მოგვესპო, მით უფრო, რომ ომი ყოველთვის შეიძლებოდა.“

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ აკ. ჩხენკელის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მისაღები აღმოჩნდა. ამის შესახებ რაუფ-ბეის მიერ, 1918 წლის 31 მარტს გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმით იყო მინიშნებული. იმავე დოკუმენტის მიხედვით, საზავო მოლაპარაკებაში მოკავშირეების ჩართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ამიერკავკასია დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ეს დოკუმენტი ამიერკავკასიის მთავრობას, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების მორიგ ულტიმატუმს უყენებდა, თანაც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზავო მოლაპარაკებაში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევდა. ოსმალეთის ხელისუფლებისაგან შემოთავაზებული ეს წინადადება საფუძველიან ანალიზს საჭიროებდა, რადგან მოლაპარაკების მომდევნო ეტაპისათვის, მოკავშირე სახელმწიფოთა როლისა და ადგილის დაზუსტება აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმის საჭიროებას ისიც განაპირობებდა, რომ იმ ეტაპზე, რუსი და ქართველი ბოლშევიკების ერთობლივი ძალისხმევით აჯანყებები მოეწყო აფხაზეთში, ახალციხეში, ცხინვალში. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ერთიანობის რღვევის პროცესი აშკარად შეიმჩნეოდა. ამ ფონზე, ოსმალეთისადმი სერიოზული სამხედრო ძალის დაპირისპირება შეუძლებელი იყო. ერთადერთი გამოსავალი აკ. ჩხენკელის მიერ ოსმალეთისადმი შეთავაზებული კომპრომისი – ბრესტის საზავო ხელშეკრულების აღიარება რჩებოდა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის ფონზე გაზეთი „საქართველო“ მოწინავე წერილში – „საზავო მოლაპარაკებისათვის“ წერდა: „ეხლა ჩვენ იძულებული ვართ ან ტერიტორიის ერთ ნაწილზე ვთქვათ უარი, ან უცხო სახელმწიფოს პროტექტორატი ვცნოთ. თუ კიდევ დავაყოვნეთ, შეიძლება მტერი ჩვენი სამშობლოს შუაგულში შემოიჭრას, მაშინ დიდი ხნით ბოლო მოეღება ჩვენს პოლიტიკურ ოცნებებს.“ ამ ამონაწერის მიხედვით, კარგად ჩანს, რომ ქვეყნის სამომავლო ბედის გათვალისწინებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიების მოსალოდნელი დაკარგვის შესაძლებლობა უნდა დაეშვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული იქნებოდა ოსმალეთის პროტექტორატი ეღიარებინა. როგორც ვხედავთ, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაკეთებულიყო. ამ საპასუხისმგებლო საკითხთან მი-

მართებაში, გაზეთმა „ერთობამ“ მოწინავე წერილში – „როგორ მოვიქცეთ,“ ოსმალეთთან კომპრომისზე წასვლის მომხრეები გააკრიტიკა და თავისი პოზიციის დასაბუთებას შეძლევი არგუმენტებით შეეცადა: 1) ქვეყანაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების (ბოლშევიკთა აჯანყებები) მიუხედავად, ამიერკავკასიას დიდი პოტენციური ძალა გააჩნია და კონსოლიდაციის საფუძველზე საჭიროა მისი გამოყენება; 2) ამიერკავკასიაში მოქმედი პროოსმალური ჯგუფების გამოყენების მცდელობის მიუხედავად, ოსმალეთს დასახული გეგმების განსახორციელებლად ძალა არ შესწევს; 3) ოსმალეთისადმი ტერიტორიების უბრძოლველად დათმობა ქვეყნის კარების ნებით გაღებას მოასწავებს და ოსმალეთის მხრიდან საქართველოსათვის ლმობიერად მოქცევის არანაირი გარანტია არ არსებობს. „ისტორიამ – ვკითხულობთ წერილში – არ იცის მაგალითი, რომ უბრძოლველად შემოსულ მტერს მეტი შეღავათი მიეცეს... დამონებული ერისთვის. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უფრო მკაცრი და შეუბრალებელი ყოფილა... მტრის რეჟიმი. ამიტომ, მოვუწოდებთ ყველას, ქვეყნის თავდაცვას შესწიროს ყველაფერი. ოსმალეთის უღელი სიკვდილს გვიქადის და ლაჩრულ სიკვდილს ისევ სახელოვანი სიკვდილი სჯობია.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ სამთავრობო წრეები ოსმალეთისადმი ტერიტორიების უბრძოლველად დათმობას არ აპირებდნენ. ამის დადასტურებას ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდენტისა და ფრაქციათა წარმომადგენლების 1918 წლის 31 მარტის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევა აუცილებლობად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება უშუალოდ ამიერკავკასიის სეიმის პოზიციას, ისიც, ამ გადაწყვეტილების იდენტური იყო. ამის შესახებ, ამიერკავკასიის სეიმის 31 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში საყურადღებო მასალებს შეიცავს. იქიდან ჩანს, რომ სიტყვაში გამოსულთა უმრავლესობამ (ე. გეგეჭკორი, ირ. წერეთელი,\* ნ. ჟორდანიას, ვ. ჯუღელი,\* არუთინიანი და სხვა) ქვეყნის გადარჩენის ძირითად პირობად, ოსმალეთისადმი სამხედრო ძალით წინააღმდეგობის გაწევა მიიჩნია. ამ მიზნით, სეიმის იმავე სხდომამ, ამიერკავკასიის ყველა ერისადმი საგანგებო მიმართვა მიიღო. მიმართვა ამიერკავკასიის ხალხების ყურადღებას ოსმალეთის მხრიდან მათი დამონების გარდუვალობაზე მიაპყრობდა. აქედან გამომდინარე, ისტორიული ტერიტორიებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთ პირობად სეიმს ოსმალეთისადმი იარაღით დაპირისპირება მიაჩნდა. იგი ამიერკავკასიის ხალხებს შეიარაღებისა და სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა, საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. ამ ფონზე, ტრაპიზონში მყოფმა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციამ მასზე დაკისრებული ფუნქცია დაკარგა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ე. გეგეჭკორს, როცა სეიმის მონაწილეთა სახელით, პირველ აპრილს, აკ. ჩხენკელისადმი გაგზავნილ დეპეშაში, ამიერკავკასიის დელეგაციის თბილისში დაბრუნება მოითხოვა. „იქედან გამომდინარე, რომ ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის – ვკითხულობთ დოკუმენტში – ზავის შესახებ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, ამიერკავკასიის დელეგაციას წინადადებას ვაძლევ დაუყოვნებლივ გამოემგზავროს...

თბილისში.“ ეს დეპეშა აკ. ჩხენკელმა ამიერკავკასიის დელეგაციას პირველი აპრილის სხდომაზევე გააცნო. სტენოგრაფიული ანგარიშიდან დასტურდება, რომ ამიერკავკასიის სეიმის ზემოაღნიშნული ნაბიჯი, აკ. ჩხენკელმა არა მარტო შეცდომად, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვის დამლუპველად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით, დოკუმენტში ვკითხულობთ: „მოცემულ პირობებში ომის წარმოება ჩვენ დაუშვებლად, დამლუპველად მიგვაჩნია ამიერკავკასიის ერებისათვის. მე მთავრობისა და სეიმის ნაბიჯები ღრმა შეცდომად მიმაჩნია. ასეთ ნაბიჯზე, რაზედაც თბილისი წავიდა, არ წავიდოდნენ დიდი სახელმწიფოებიც კი. ჩვენ მოვალენი ვართ... დავუმტკიცოთ თბილისს... რომ საბედისწერო განაჩენი გამოუტანეს ქვეყანას.“ მისი ასეთი მკაცრი პოზიციის მიუხედავად, შექმნილი ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალი გზის გამოძებნისა და ქვეყნის მოსალოდნელი კატასტროფისგან გადარჩენის თუნდაც ნაწილობრივ შესაძლებლობას, აკ. ჩხენკელი დელეგაციის წევრების პირადი პასუხისმგებლობის აუცილებლობაში ხედავდა. „ამ მძიმე ნაბიჯის შედეგები რომ გავანეიტრალლოთ – ამბობდა აკ. ჩხენკელი – თავად მივიღოთ გადაწყვეტილება, ყველა ღონე ვიხმაროთ, რომელიც შექმნის არა განხეთქილებას, არამედ მოლაპარაკების დროებით შეწყვეტას, შესვენების შთაბეჭდილებას.“

დასახული მიზნის შესრულების ერთ-ერთ პირობად, აკ. ჩხენკელს ოსმალეთის დელეგაციისადმი სიმართლის გაუმჟღავნებლობა მიაჩნდა. მისი მტკიცებით, აუცილებლობას წარმოადგენდა: ა) ოსმალეთის დელეგაციისათვის დაემაღლათ, სეიმის მიერ გამოგზავნილი ტელეგრამა, ამიერკავკასიის დელეგაციის უკან გაწვევის შესახებ; ბ) ოფიციალურ განცხადებაში აღენიშნათ, რომ სეიმის ინსტრუქციის შესაბამისად, ამიერკავკასიის დელეგაცია შესვენების მიზნით მიემგზავრება და დარწმუნებულია, რომ დელეგაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის მთავრობაც აღიარებს. აკ. ჩხენკელის ამ წინადადებას სხდომის მონაწილეებმა (მემედ-ჰასან-გაჯინსკი, რ. ი. კაჩანუნი, გ. მ. ლასხიშვილი, ხ. ბ. ხას-მამედოვი, ა. ი. ხატისოვი) ერთხმად დაუჭირეს მხარი. ამ ფაქტორმა ამიერკავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციათა გამოსამშვიდობებელ სხდომაზე (1918 წლის 1 აპრილი) აკ. ჩხენკელს შესაძლებლობა მისცა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარის რაუფ-ბეის წინაშე ოფიციალურად განეცხადებინა: „ჩვენი თბილისში ჩასვლა იმდენად გააჯანსაღებს ატმოსფეროს, რომ... აუცილებლად მივალთ საქმის კეთილ დაბოლოებად. ამიტომ, ჩვენს გამგზავრებაში, იქნებ სიკეთე მეტია ვიდრე ცუდი, რადგან... საშუალება გვექნება პირადად გავაცნოთ საქმის ვითარება მთავრობის წევრებს და სეიმს.“

აკ. ჩხენკელის მხრიდან ეს იყო დიპლომატიური სვლა, რომელიც მოლაპარაკების შესაძლო გაგრძელების რეჟიმში გადატანით, იმ ეტაპზე, ოსმალეთის აგრესიული ქმედების დროებით შეჩერებას ისახავდა მიზნად. თუ რა ღონეზე მოხდებოდა ამ შესაძლებლობის გამოყენება, ეს ამიერკავკასიის მთავრობისა და სეიმის პრეროგატივას წარმოადგენდა.

ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ: 1) ამიერკავკასიის რეგიონის გარშემო შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად, ამიერკავკასიის პოლიტიკურ



ელიტას ოსმალეთთან საერთო ენის გამოძებნა და ზავის მიღწევა მიაჩნდა. სინამდვილეში, მათ მიერ აღებული პოლიტიკური კურსი არსებულ რეალობას სცილდებოდა, რადგან: ა) ამიერკავკასიის სეიმის მიერ შემუშავებული დირექტივა – უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პირობებს ემყარებოდა და ოსმალეთთან 1914 წლის ომამდელი საზღვრების შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. იგი არ ითვალისწინებდა იმას, რომ იმ ეტაპზე, ოსმალეთი გამარჯვებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი ინტერესები ძველი მდგომარეობით არ შემოიფარგლებოდა; ბ) ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ამიერკავკასიის დელეგაციის ერთიანობის ბოლომდე შენარჩუნების „პოლიტიკურ რომანტიზმზე“ იყო დაფუძნებული და ამიერკავკასიის „რევოლუციური დემოკრატიის“ ილუზია ელო საფუძვლად; გ) ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული, იმ ეტაპზე, ამიერკავკასიის სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები; 2) 4 პუნქტიანი დებულების სამოქმედო ჩარჩოთი ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარის შეზღუდვა შეცდომას წარმოადგენდა, რადგან დიპლომატიური ლავირების ნებისმიერი შესაძლებლობა სათავეშივე იყო გამორიცხული; 3) აშკარა გახდა, რომ დიპლომატიური ორთაბრძოლის წარმატებას, იმ ეტაპზე, მხოლოდ ქვეყნის სამხედრო სიძლიერე განსაზღვრავდა; 4) ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე, ამიერკავკასიის დელეგაციის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზს (ქვეყნის თავდაცვის უუნარობასთან ერთად), დელეგაციის წევრთა შორის (ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული წარმომადგენლობის მხრიდან) გაუთავებელი დისკუსია განაპირობებდა. ამ ფონზე, ამიერკავკასიის სეიმის მიერ აკ. ჩხენკელისადმი საგანგებო უფლებების მინიჭება, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამან აკ. ჩხენკელს საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტისა და ჩიხში შესული მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობა მისცა. საზავო დელეგაციის თბილისში გაწვევის (31 მარტი) მიუხედავად, აკ. ჩხენკელის უდაო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ დიპლომატიური ლავირების გზით, ამიერკავკასიის მთავრობას, ოსმალეთთან შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელების შესაძლებლობა მიეცა.

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**აკაკი ჩხენკელი** – (1874–1959 წწ.) ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918 წლის აპრილი – მაისი). დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (1918 წლის 26 მაისი – 1919 წლის 21 მარტი). 1919 წლიდან საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ჯერ გერმანიაში, შემდეგ შვეიცარიაში.

**გერონტი ქიქოძე** – (1885–1960 წწ.) ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

**გიორგი გვაზავა** – (1869–1941 წწ.) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

**გიორგი ლასხიშვილი** (1866–1931 წწ.) სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის განათლების მინისტრი.

**ეგვანი გეგეჭკორი** – (1881–1954 წწ.) 1917 წლის 15 ნოემბრიდან ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო ურთიერთობის საქმეთა სამინისტროს კომისარი. 1919 წლის 24 ივნისიდან დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ვალეო ჯუღელი** – დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი 1918–1921 წლებში. გვარდია 1917 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა.

**ვენის ფაშა** – ოსმალთა გენერალი. ამიერკავკასიის ოსმალეთის ფრონტის სარდალი.

**ირაკლი წერეთელი** – (1882–1959 წწ.) სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთის II სახელმწიფო სათათბიროს წევრი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. რუსეთის ღრობითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი. ღრობითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი.

**კარლო ჩხეიძე** – (1864–1926 წწ.) რუსეთის III და IV სათათბიროს დეპუტატი. ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე.

**ლუდენდორფი ერის** – გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ქვეითი ჯარის გენერალი, რომელიც 1914–1918 წლებში ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლებს.

**მიხეილ ადამაშვილი** – (მ. ჯავახიშვილი) 1880–1937 წწ. ცნობილი ქართველი მწერალი.

**ნოე ჟორდანიას** – (1868–1953 წწ.) ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) დამაარსებელი და ლიდერი. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.

**ნოე რამიშვილი** – (1881–1930 წწ.) ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი (1918 წლის აპრილი – მაისი); 1918 წლის 26 მაისიდან დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივნისამდე. 1918 წლის 24 ივნისიდან დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

**რუბენ კაჩაზნუნი** – დაშნაკცუტიუნის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. დამოუკიდებელი სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე.

**სამსონ ფირცხალავა** – (1872–1952 წწ.) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

## გამოყენებული ლიტერატურა წყაროები:

- საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ. 1836. აღწ. 1. საქ. 1; 2; 5;
- ტრაპიზონის საზავო კონფერენცია. (დოკუმენტების კრებული). გამო-საცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ნ. ზოსიძემ. ბათუმი. 1998 წ.
- რ. ყავრელიშვილი. თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ. იხ. მესხეთი. ისტორია და თანამე-დროვეობა. ახალციხე. 2000 წ.
- Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси. 1990 г.
- Документы внешней политики СССР. Т. 1, Т. 3. Москва, 1958.
- გაზ. „საქართველო“ 1917 წ. №60; 1918 წ. №12; 37; 42; 44; 71; 75; 81; 271;
- გაზ. „სახალხო საქმე“ 1918 წ. №140; 175; 176; 177; 193.
- გაზ. „ერთობა“ 1917 წ. №170; 208; 222; 225; 1918 წ. №3; 4; 7; 8; 12; 14; 22; 29; 37; 42; 50; 60; 185.
- მ. სვანიძე. დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918–1921 წლებში. იხ. საქართველოს დიპლომატია. წელიწდეული. № 10. თბილისი. 2000 წ.
- მ. სვანიძე. ბრესტის ზავი და საქართველო. იხ. საქართველოს დიპლომა-ტია, წელიწდეული № 3. თბილისი. 1996 წ.
- მ. სვანიძე. ტრაპიზონის კონფერენცია. (1918 წლის 14 მარტი–14 აპრილი), იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 5, თბ. 1998 წ.
- ვ. ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბი-ლისი. 1989 წ.
- შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917–1921 წლებში, თბილისი. 2001 წ.
- შ. ვადაჭკორია. ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ნაკვეთი I (1917–1918 წწ.), თბ., 2008 წ.